




Ministry of Foreign Affairs of the Netherlands

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული სწავლებლების და ახრთხველების სპეციალური რეგრი



კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ავროპული საკანონმდებლო ჩარჩო

შესავალი

მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის ინტერესების დაცვა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე მსოფლიოში. საერთაშორისო კანონმდებლობა ამ ჯგუფს დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად აღიარებს და ხაზს უსვამს ამ პროცესში გასატარებელი ეფექტური ღონისძიებების აუცილებლობას, რადგან არასრულწლოვანთა მიმართ განსაკუთრებული მიდგომა და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა პირდაპირ აისახება მათ მომავალ განვითარებასა და მათ მიერ შესაბამისი ადგილის დაკავებაზე სამოქალაქო საზოგადოებაში.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მატრა პროგრამის ფარგლებში, ახორციელებს პროექტს სახელწოდებით „ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის“. Defence for Children International - ECPAT Netherlands (DCI-ECPAT NL) არის პროექტის პარტნიორი და პროექტის იმპლემენტაციაზე მთავარი პასუხისმგებელი ორგანიზაცია.

მატრა პროგრამის “ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის” მთავარი მიზანია საქართველოში კანონის უზენაესობის ხელშეწყობა, ბავშვთა დაცვის და მართლმსაჯულების სისტემებში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები უნდა შეესაბამებოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს, შემუშავდა ამ პროგრამისათვის განკუთვნილი საკანონმდებლო ჩარჩო - საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტების, დირექტივების და რეკომენდაციების მიმოხილვა. ვფიქრობთ, რომ ეს ნაშრომი საინტერესო და გამოსადეგი იქნება იმ პროფესიონალებისთვისაც, რომლებიც ბავშვთა დაცვის საკითხებზე მუშაობენ.

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია DCI-ECPAT NL -ს და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ს ა რ რ ა ჯ ი

თავი 1	7
ცნებები და ტერმინები	7
თავი 2.	9
მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები	9
2.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	9
2.1.1. ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები	9
2.1.2. საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტები	10
2.2. ევროპის საბჭო	12
2.2.1 ევროპული ხელშეკრულებები	12
2.2.2. რეკომენდაციები	12
2.3 ევროკავშირი	14
2.3.1 დირექტივები	14
2.3.2 რეკომენდაციები	15
2.4 დანაშაულის მონმე და მსხვერპლი ბავშვები	16
თავი 3.	17
სამართლებრივი ჩარჩო	17
3.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის ბაზისური პრინციპები	18
3.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები	20
3.3 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანიზება (მონყობა)	27
თავი 4.	29
ბავშვის გამოკითხვა სისხლის სამართლის პროცედურებში	29
4.1. ბავშვის დაცვის ინტეგრირებული სისტემა	31
4.2. ეჭვმიტანილი და მონმე ბავშვების საჭიროებების შეფასება გამოკითხვამდე	32
4.3. მშობელთა ჩართულობა	36
4.4. (სხვადასხვა სექტორის) პროფესიონალთა ჩართულობა	42
4.5. მომზადება და ინფორმირება	46
4.6. გამოკითხვის მეთოდი, გარემო და კვალიფიკაცია	54
4.7. პირადი ცხოვრება	66

თავი 1.

სწავები და აქტივობები

ამ ნაწილის მიზანია, ნათელი მოჰფინოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებულ ზოგიერთ ცნებასა და ტერმინს, რომელთა მნიშვნელობაც ყოველთვის ნათელი არაა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარი №10-ის თანახმად, ეს ტერმინი აღნიშნავს თითოეულ იმ ბავშვს, „რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად“¹. აგრეთვე გამოიყენება ეს განსაზღვრებაც: ნებისმიერი 18 წელს მიუღწეველი პირი, რომელსაც ეჭვმიტანილობის ან ბრალეულობის გამო უშუალო შეხება ჰქონდა მართლმსაჯულების სისტემასთან.

კანონთან კონტაქტში მყოფი ბავშვები

ეს ტერმინი აღნიშნავს ბავშვებს, რომლებსაც კანონთან (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის, და სხვა) ჰქონიათ შეხება - ანუ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს, მსხვერპლ ბავშვებს, მონმე ბავშვებს და სხვა.

დაზარალებული და მონმე ბავშვები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს №2005/20 რეზოლუციის „მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები დანაშაულით დაზარალებული და მონმე ბავშვების საქმეების თაობაზე“ მუხლი 9-ს თანახმად, ეს ტერმინი გულისხმობს 18 წელს მიუღწეველ პირს, რომელიც არის დანაშაულის მსხვერპლი ან მონმე, მიუხედავად დანაშაულსა და/ან სამართლებრივ პროცესებში მათი როლისა და ჩართულობისა.²

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივების თანახმად, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება განიმარტება, როგორც: “მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც ბავშვის უფლებების ყველაზე მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფს, წინამდებარე დოკუმენტში ასახული პრინციპების დაცვითა და ბავშვის სიმწიფისა და საქმის გარემოებების გაცნობიერების შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, ასეთი მართლმსაჯულება უნდა იყოს მისანვდომი, ბავშვის ასაკის შესაბამისი, დროული, სათანადო, და ბავშვის უფლებებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული და მორგებული; გარდა ამისა,

¹ გაეროს დოკუმენტი, . CRC/C/GC/10, 25 აპრილი, 2007, პარაგრაფი 1

² ECOSOC რეზოლუცია 2005/20, 22 ივლისი, 2005

მართლმსაჯულების სისტემა პატივს უნდა სცემდეს ბავშვის უფლებებს, მათ შორის სამართალწარმოებაში მონაწილეობისა და მისი გაგების უფლებას, და უზრუნველყოფდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემას.”

ბავშვთა დაცვის სისტემა

გაეროს ბავშვთა ფონდი ბავშვთა დაცვის სისტემას განმარტავს, როგორც: „კანონთა, პოლიტიკის, რეგულაციათა და სერვისთა ყველა სოციალურ სექტორში განაწილებული ერთიანობა (განსაკუთრებით სოციალური კეთილდღეობა, განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება), რომელიც ემსახურება რეაგირებასა და პრევენციას. ეს სისტემები ნაწილია სოციალური დაცვისა, თუმცა სცდება მის საზღვრებს. პრევენციულ დონეზე, სეპარაციის, ძალადობისა და ექსპლუატაციის რისკების შესამცირებლად, მიზანს წარმოადგენს ოჯახის დახმარება და გაძლიერება. პასუხისმგებლობები ხშირად გადანაწილებულია სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში, სერვისებს აწოდებენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სათემო ჯგუფები, რის გამოც სექტორებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა, როგორცაა სავალდებულო რეფერირების სისტემა, ბავშვთა დაცვის სისტემის აუცილებელი ნაწილია.“⁴

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ არის კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროცედურათა, მექანიზმთა და ინსტიტუტთა სპეციფიკურად ორგანიზებული ერთობა, რომელიც შექმნილია ახალგაზრდა ადამიანებისათვის, რომლებიც არიან ეჭვმიტანილი ან მიჩნეული არიან, როგორც სისხლის სამართლის კანონდამრღვევები. დოკუმენტის „გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ - ეგრეთ წოდებული პეკინის წესების მე-5 წესის თანახმად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას და უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ნებისმერი ღონისძიება ყოველთვის იყოს სამართალდამრღვევის და სამართალდარღვევის თანაზომიერი.“ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას, კერძოდ, იმ ნაწილებს, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს შეეხება.

³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, 17 ნოემბერი, 2010

⁴ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, UNICEF ბავშვის დაცვის სტრატეგია, E/ICEF/2008/

⁵ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 40/33, 29 ნოემბერი, 1989

თავი 2.

ენიშვნაიშვიანი სახითაშოხისო დოკუმენტები

ეს ნაწილი მიმოიხილავს იმ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს შეეხება.

2.1. ბავშვთაშვიანი ხეზის ოხბანიშასი

2.1.1. ადამიანის უფლებათა ძიხითაშვიანი სახითაშოხისო ხელშეხიქებები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი და ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოები, რომლებმაც მათი რატიფიკაცია მოახდინეს, კანონის წინაშე არიან მათ განხორციელებაზე ვალდებული. მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რომ თითოეულმა ადამიანმა შეძლოს ხელშეკრულებით განპირობებული უფლებებით სარგებლობა.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (სპუსპ) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1966 წლის 16 დეკემბერს მიიღო და ძალაში 1976 წლის 23 მარტს შევიდა.⁶ სპუსპ-ის მე-14 მუხლი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების დროს ადამიანთა პროცესუალური უფლებების გარანტიას შეეხება. მუხლი 14(4) ამბობს: „არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ გათვალისწინებული იქნას მათი ასაკი და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის სურვილი.“ ადამიანის უფლებათა კომიტეტი საუბრობს სახელმწიფოთა მიერ სპუსპ-ის დანერგვაზე.⁷

ბავშვის უფლებათა კონვენცია

ბავშვის უფლებათა კონვენცია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა 1989 წლის 20 ნოემბერს და ძალაში 1990 წლის 2 სექტემბერს შევიდა.⁸ ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება 196-მა სახელმწიფომ მოახდინა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე და მე-40 მუხლები კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს შეეხება. მე-40 მუხლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებას შეეხება. 37-ე მუხლი (ბ-დ) ბავშვთა თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას შეეხება. 37-ე (ა) მუხლი მუდმივი პატიმრობისა და სიკვდილით დასჯის აკრძალვას შეეხება. აგრეთვე აღსანიშნია 39-ე მუხლი (ფიზიკური და ფსიქოლოგიური

⁶ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200A (XXI), 16 დეკემბერი, 1966

⁷ ინფორმაციისათვის იხილეთ <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CCPR/Pages/CCPRIndex.aspx>

⁸ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 44/25, 20 ნოემბერი, 1989

გაჯანსაღება და სოციალური რეინტეგრაცია) და ზოგადი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-2 (ანტი-დისკრიმინაციული), მე-3 (ბავშვის ინტერესები), მე-6 (სიცოცხლის, არსებობისა და განვითარების უფლებები) და მე-12 (ბავშვის შეხედულებების პატივისცემა) მუხლებში. ბავშვის უფლებათა კონვენციის დანერგვის მონიტორინგს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ახდენს.⁹ ადამიანის უფლებათა თუ სხვა შესაბამისი კომიტეტების მსგავსად, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ბავშვის უფლებათა კონვენციის ინტერპრეტაციებს „ზოგადი კომენტარების“ სახით აქვეყნებს. ზოგადი კომენტარი №10 (2007) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვთა უფლებებს შეეხება, რაც დაწვრილებით განხილულია ქვემოთ, მესამე ნაწილში.

2.1.2. საერთაშორისო საჩუქარო-დახმარებო მუხარებები

ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი, თუმცა წარმოადგენს სახელმწიფოთა მიერ სავალდებულო დოკუმენტების მიღებით ნაკისრ მორალურ პასუხისმგებლობას.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები)

„გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების შესახებ“ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1985 წლის 29 ნოემბერს მიიღო.¹⁰ პეკინის წესები საერთაშორისოდ მიღებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს ადგენს. მე-5 წესის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ხელს უნდა უწყობდეს არასრულწლოვნის კეთილდღეობას და უზრუნველყოფდეს, რომ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა ქმედებაზე პასუხი შეესაბამებოდეს, როგორც დანაშაულს, აგრეთვე დამნაშავეს. პეკინის წესები შედგება ექვსი საკითხისაგან: ზოგადი პრინციპები; გამოძიება და სასამართლო განხილვა; სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა¹¹ და შემოქმედების ზომების შერჩევა; არაინსტიტუციური მოპყრობა, ინტიტუციური; პოლიტიკის კვლევები, დაგეგმარება, შემუშავება და შეფასება. ზემოთ ნახსენები ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარი №10-ის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომელთა შესახებაც პეკინის წესებშია საუბარი.¹³

⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი აგრეთვე მონიტორინგს უწევს ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი დამატებითი პროტოკოლის დანერგვას: შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობა და ბავშვებით ვაჭრობა; ბავშვთა პროსტიტუცია და ბავშვთა პორნოგრაფია. 2014 წლის 19 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მესამე დამატებითი პროტოკოლი, რომელიც ძალაში 2014 წლის აპრილში შევიდა. ეს დამატებითი პროტოკოლი ბავშვებს საშუალებას აძლევს, პირველ ორ დამატებით პროტოკოლთან დაკავშირებული დარღვევების შემთხვევაში, გააკეთონ შეტყობინება. დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRC/Pages/CRCIndex.aspx>

¹⁰ გაეროს დოკუმენტი, CRC/C/GC/10, 25 აპრილი, 2007

¹¹ გამასწორებელ დაწესებულებათა ფარგლებს გარეთ დარჩენილ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობა;

¹² გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებულ სამართალდამრღვევებთან მოპყრობა.

¹³ იხილეთ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007) ბავშვთა უფლებები მართლმსაჯულების სისტემაში, UN Doc. CRC/C/GC/10, პ. 4.

გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებადაცვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანას წესები)

ჰავანური წესები გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1990 წლის 14 დეკემბერს მიიღო.¹⁴ ეს წესები საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიჩნეულია მინიმალურ სტანდარტად. მისი ფუნდამენტური წესის თანახმად, არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (I, წესი 2), ხოლო ამის აუცილებლობისას, უკიდურეს შემთხვევებში - თავისუფლების აღკვეთის სიმძიმე და ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმალური.

ეს წესები შეეხება თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას ანუ დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერი ფორმას, სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანების საფუძველზე, პირის მოთავსებას კერძო ან საჯარო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილით დატოვების უფლებაც პირს არ გააჩნია. (II. წესი 11(ბ)).

გაერთიანებული ერების თავისუფლება შეზღუდული ბავშვების დაცვის წესები შედგება ხუთი ნაწილისაგან: არსებით პერსპექტივები; წესების გამოყენება და ფარგლები; პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები; არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებების მართვა; პერსონალი. ზემოთ ნახსენები ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარი №10-ის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომელთა შესახებაც ჰავანას წესებშია საუბარი.¹⁵

გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები)

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რიადის სახელმძღვანელო პრინციპების სახელით ცნობილი დოკუმენტი „სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით“ 1990 წლის 14 დეკემბერს მიიღო.¹⁶ რიადის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტია და ხაზს უსვამს დელიკვენტობის პროგრესულად პრევენციის პოლიტიკის მნიშვნელობას. ამგვარი პოლიტიკის მიზანია, არ დასაჯოს ბავშვი იმ ქცევისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად არ აზიანებს სხვათა კეთილდღეობასა და განვითარებას (I ძირითადი პრინციპები). რიადის სახელმძღვანელო პრინციპები შედგება ექვსი ნაწილისაგან: ძირითადი პრინციპები; სახელმძღვანელო პრინციპები; ზოგადი აღკვეთა; სოციალიზაციის პროცესი; სოციალური პოლიტიკა; კანონმდებლობა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელება. ზემოთ ნახსენები ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარი №10-ის თანახმად, არასრულწლოვანთა

¹⁴ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/113; 14 დეკემბერი, 1990

¹⁵ იხილეთ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007); პარაგრაფი 4

¹⁶ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 44/112; 14 დეკემბერი, 1990

მართლმსაჯულების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რომელთა შესახებაც რიადის სახელმძღვანელო პრინციპებშია საუბარი.¹⁷

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში მყოფ არასრულწლოვნებთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ

დოკუმენტი მიღებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1997 წლის 21 ივლისს.¹⁸ ეს სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს მითითებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია ბავშვის უფლებათა კონვენციის სტანდარტებით.

2.2. ევროპის საბჭო

2.2.1 ევროპელი ხელშეკრულებები

ქვემოთ ნახსენები „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ და „ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“¹⁹ **სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი ხელშეკრულებებია.** შესაბამისად, ის სახელმწიფოები, რომლებმაც მისი **რატიფიცირება** მოახდინეს, საკანონმდებლო დონეზე ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ისინი. თითოეულ სახელმწიფოს ევალება, ხელშეკრულებებით განპირობებული უფლებების გადადგას ქმედითი ნაბიჯები რათა უზრუნველყოს ყველა ადამიანისთვის ხელშეკრულებებით განპირობებული უფლებებით სარგებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ECHR) ხელი 1950 წლის 4 ნოემბერს მოეწერა. ECHR-ს აქვს 14 დამატებითი ოქმი. მათ შორის რელევანტური მუხლებია მე-5 მუხლი (თავისუფლების და ხელშეუხებლობის **უფლება**) და მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება).¹⁹ მითითებები განმარტებულია ქვემოთ.

2.2.2. ხელშეკრულებები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციები სახელმწიფოსათვის სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტები არაა, თუმცა მათ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ.

მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაცია CM/REC(2008)11 არასრულწლოვანი დამნაშავეების წინააღმდეგ გატარებული სანქციებისა თუ ღონისძიებების წესების შესახებ

¹⁷ იხილეთ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007) ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. UN Doc. CRC/C/GC/10, პარაგრაფი 4

¹⁸ ECOSOC რეზოლუცია 1997/30, 21 ივლისი, 1997

¹⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებების განმარტებითი მემორანდუმი ამომწურავად მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე არსებულ შესაბამის იურისპრუდენციას

არასრულწლოვანი დამნაშავეების წინააღმდეგ გატარებული სანქციებისა თუ ღონისძიებების წესები მინისტრთა კომიტეტმა 2008 წლის 5 ნოემბერს მიიღო.²⁰ ამ წესების მიზანია, არასრულწლოვანი დამნაშავეების წინააღმდეგ გატარებული სანქციები თუ ღონისძიებები იყოს უსაფრთხო, არ არღვევდეს მათ უფლებებს და ხელს უწყობდეს მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობას.

სხვა აღსანიშნი რეკომენდაციებია: რეკომენდაცია Rac(2003)20 არასრულწლოვანთა დელიკვენტობისა და მართლმსაჯულების შესახებ, რეკომენდაცია Rec(2005) საცხოვრებელ ინსტიტუტებში ბავშვთა უფლებების შესახებ და რეკომენდაცია Rec(2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ.²¹

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მიღებულ იქნა 2010 წლის 17 ნოემბერს. ამ მითითების მიზანია, რომ შესაბამის შემთხვევებში ყველა ბავშვს ჰქონდეს ინფორმირებულობის უფლება, წარმომადგენლის ყოლის უფლება, მონაწილეობისა და დაცვის უფლება; ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი, საჭიროებები და განვითარების დონე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმძღვანელო დირექტივებში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება განიმარტება, როგორც:

“მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც ბავშვთა უფლებების ყველაზე მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფს, წინამდებარე დოკუმენტში ასახული პრინციპების დაცვითა და ბავშვის სიმწიფისა და საქმის გარემოებების გაცნობიერების შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, ასეთი მართლმსაჯულება უნდა იყოს მისაწვდომი, ბავშვის ასაკის შესაბამისი, დროული, სათანადო, ბავშვის უფლებებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული და მორგებული; გარდა ამისა, მართლმსაჯულების სისტემა პატივს უნდა სცემდეს ბავშვის უფლებებს, მათ შორის, სამართალწარმოებაში მონაწილეობისა და მისი გაგების უფლებას, და უზრუნველყოფდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემას.”²²

²⁰ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ნევრი ქვეყნებისადმი არასრულწლოვანი დამნაშავეების წინააღმდეგ გატარებული სანქციებისა თუ ღონისძიებების შესახებ

²¹ რეკომენდაციას Rec(2003)20 არასრულწლოვანთა დელიკვენტობისა და მართლმსაჯულების შესახებ ხელი მოეწერა 2003 წლის 24 სექტემბერს; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას Rec(2005) საცხოვრებელ ინსტიტუტებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებების შესახებ ხელი მოეწერა 2005 წლის 16 მარტს; რეკომენდაციას Rec(2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ

²² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, 17 ნოემბერი, 2010

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/rec(2009)/10: ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო დირექტივების ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიის თაობაზე

დოკუმენტის „ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები“ თანახმად, ბავშვების ძალადობისგან დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიის მიზანია ერთიანი ეროვნული ჩარჩოს შექმნის ხელშეწყობა. დირექტივების მიხედვით, ბავშვთა მიმართ ძალადობის საპასუხო თუ პრევენციული მიდგომები სისტემური და მულტიდისციპლინური უნდა იყოს. სახელმძღვანელო დირექტივებში ევროპის საბჭო ხაზს უსვამს, რომ ძალადობაზე ფრაგმენტული რეაგირება, შესაძლოა, ეფექტური იყოს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, თუმცა ამგვარი მიდგომა ვერ უპასუხებს ბავშვთა განსხვავებულ საჭიროებებს. მხოლოდ კონკრეტულ პრობლემაზე თუ კონკრეტულ ბავშვთა ჯგუფებზე ძალისხმევით და ყურადღების დახარჯვა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეიძლება იყოს შესაძლებელი და ეფექტური.

ბავშვის დაცვის ინტეგრირებული სისტემა ბავშვზე ორიენტირებულია და შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებს. ამგვარი სისტემა გულისხმობს ყველა სექტორის - **განათლების, ჯანდაცვის, კეთილდღეობის, სამართლის, სამოქალაქო საზოგადოების, თემისა და ოჯახის - ერთობლივ ორგანიზებულ ძალისხმევას ბავშვთა მიმართა ნებისმიერი ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულვებელყოფის წინააღმდეგ.** ბავშვის დაცვის ინტეგრირებულ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **პრევენციას.** ზოგად კომენტარში 13 (2011) კომიტეტი იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ცალკეული, ფრაგმენტული და რეაქტიული ინიციატივების აღმოფხვრისა და ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული ერთიანი ჩარჩოს შექმნის თაობაზე.²³

2.3 ევროპის საბჭოს

2.3.1 დირექტივები

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული დირექტივები ევროკავშირის ქვეყნებისათვის სამართლებრივად სავალდებულოა. დირექტივამოქნილი ინსტრუმენტია, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის მონესრიგებისათვის გამოიყენება. დირექტივები ევროპის ქვეყნებისაგან მოითხოვს გარკვეული შედეგის მიღწევას, თუმცა ტოვებს სამოქმედო გზის თავისუფლებას.

2016 წლის 11 მაისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2016/800/EU არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და ეჭვმიტანილების პროცესუალური უსაფრთხოების თაობაზე

²³ გაეროს დოკუმენტი, CRC/C/GC/13, 18 აპრილი, 2011

დირექტივის 2016/800/EU მიზანია ექვემდებარებული და ბრალდებული ბავშვების, ანუ 18 წელს მიუღწეველი პირების პროცესუალური გარანტიები. დირექტივის თანახმად, ასეთი პირები საქმის შესახებ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ბავშვმა ხელახალი დანაშაული არ ჩაიდინოს და წარმატებით დაუბრუნდეს საზოგადოებას.

დირექტივის თანახმად, თითოეული ბავშვის შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მისი საჭიროებანი, განათლების, განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციის დონე და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადაწყდეს სპეციფიკური პროცესუალური დინამიკისა და მისი, როგორც დამნაშავის, პასუხისმგებლობის საკითხი.²⁴

დირექტივა შეეხება შემდეგ საკითხებს: ინფორმირების უფლება; მშობლისა თუ სხვა მზრუნველი პირის ინფორმირების უფლება; ადვოკატის დახმარება; ინდივიდუალური შეფასების უფლება; სამედიცინო გამოკვლევის უფლება; გამოკითხვა ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერი; თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვები; ალტერნატიული საშუალებები; განსაკუთრებული მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში; საქმის დროული და სამართლიანი განხილვა; პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლება; მშობლის ან სხვა მზრუნველის თანხლების უფლება; სასამართლო განხილვაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება; დაპატიმრების ევროპული ორდერი; იურიდიული დახმარების უფლება; მკურნალობის; სწავლა-განათლების მიღების უფლება.

2.3.2 ჩაჯიშინა

ევროკომისიის რეკომენდაციები სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი არაა. რეკომენდაცია შესაბამისი საკითხის ხედვის დაფიქსირებაა.

პროცედურული გარანტიები მონყვლადი პირებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან ან ბრალდებულები არიან სისხლის სამართალწარმოების პროცესში (C(2013)8178/2)

რეკომენდაციის მიზანია წახალისოს წევრი სახელმწიფოები რომ გააძლიეროს იმ პირთა პროცესუალური უფლებები, რომლებსაც მათი ასაკის, გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მონყვლადი პირები), არ შეუძლიათ საკითხის გაგება და სრული მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში.

²⁴ აგრეთვე ინდივიდუალური შეფასების თაობაზეა დირექტივა 2012/29/EU, რომელიც უფლებათა მინიმალურ სტანდარტს აყალიბებს

2.4 ანაშაჯის მონა და მსხვერპლი ბავშვები

როგორც ზემოთ განიმარტა, მონა და მსხვერპლი ბავშვები არ არიან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ანუ ბავშვები, რომლებიც ექვმიტანილნი არიან ან მიჩნეულნი არიან, როგორც სისხლის სამართლის კანონდამრღვევები.

მატრა-პროგრამა „ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის“ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებებს შეეხება, თუმცა მონა და მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზეც გამოითქვა ინტერესი.

ბავშვის უფლებათა კონვენციის რელევანტური მუხლებია:
მუხლი 12 (ბავშვის შეხედულების პატივისცემა),
მუხლი 19 (ძალადობისგან დაცვა),
მუხლი 34 (სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია) და
მუხლი 39 (გაჯანსაღება და სოციალური რეინტეგრაცია).

ასევე უნდა აღინიშნოს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU მსხვერპლთა დაცვის მინიმალური სტანდარტების თაობაზე. სამართლებრივად არასავალდებულო სახელმძღვანელო მითითებები მსხვერპლი და მონა ბავშვების თაობაზე მიღებულ იქნა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მიერ, 2005 წლის 22 ივლისს.²⁵ სახელმძღვანელო მითითებები ასახავს ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემის იმპლემენტაციის კარგ მოდელს. სახელმძღვანელო მითითებებში ხაზი ესმება, რომ სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის შედეგად ტრავმის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად მსხვერპლ და მონა ბავშვებს მათი ასაკის, საჭიროებებისა და განვითარების დონის შესაბამისი მხარდაჭერა ესაჭიროებათ. ასევე აღნიშნულია დაზარალებული. განსაკუთრებით კი სექსუალურ ძალადობაგანცდილი ბავშვების ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებული სავალალო ფსიქოლოგიური და ემოციური შედეგები. სახელმძღვანელო მითითებებში ნათქვამია, რომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და მომზადება - ბავშვთა საჭიროებების შეფასება, გამოკითხვა და სხვა.

ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ იგივე ლანსაროტეს კონვენცია მიღებულ იქნა 2007 წლის 25 ოქტომბერს.²⁶ კონვენცია სამართლებრივ პროცედურებში მსხვერპლი ბავშვების უფლებათა და ინტერესთა დაცვას შეეხება. ის პირველი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც განარჩევს სექსუალური ძალადობის ფორმებს, როგორებიცაა სახლში ან ოჯახის მიერ ჩადენილი ძალადობა, ძალის გამოყენება, მოსყიდვა და მუქარა. აგრეთვე ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ მუხლი 8 მსხვერპლ ბავშვებს შეეხება.

²⁵ ECOSOC რეზოლუცია 2005/20, 22 ივლისი, 2005
²⁶ CETS №201

თავი 3.

სამაჩთობი ჩარხი

ამ ნაწილში განმარტებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბავშვის უფლებათა კონვენციით (CRC) და რელევანტურია, სხვა საერთაშორისო და ევროპული დოკუმენტებთან. ამ აღწერილობის საფუძველს ბავშვის უფლებათა კომიტეტის (შემდგომში კომიტეტის) ზოგადი კომენტარი №10 (2007) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვთა უფლებების თაობაზე²⁷ (შემდგომში ზოგადი კომენტარი №10) წარმოადგენს.

თავის ზოგად კომენტარში №10, კომიტეტი ცნობს წევრი სახელმწიფოების მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს, თუმცა, აგრეთვე შეშფოთებას გამოხატავს ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში მთელ რიგ საკითხებში სასურველისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მდგომარეობის შესახებ (როგორებიცაა პროცესუალური უფლებები; განრიდების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა; თავისუფლების აღკვეთა, როგორც უკიდურესი ზომა; პრევენციული ძალისხმევა). კომიტეტი ამბობს, რომ ეს შესაძლოა განპირობებული იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არასათანადო პოლიტიკითა და სისტემით; უკანასკნელი გულისხმობს პოლიციაში, სამართალდამცავ ორგანოებში, სასამართლოში, პროკურატურასა თუ სხვა მსგავს სისტემებში სპეციალიზებული ერთეულების არარსებობას. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ეფექტური არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო პოლიტიკის დანერგვას.

ზოგადი კომენტარი №10 წევრი სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს მითითებებსა და რეკომენდაციებს პოლიტიკის შინაარსის თაობაზე. ამგვარი პოლიტიკა სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს, იმოქმედონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების და მთლიანად საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ პოლიტიკის დანერგვისათვის აუცილებელია პეკინის წესების (გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ), ჰავანური წესებისა (გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის) და რიადის სახელმძღვანელო პრინციპების (გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით) იმპლემენტირება.

²⁷ გაეროს დოკუმენტი CRC/C/GC/10 25 აპრილი, 2007. ზოგადი კომენტარის ტექსტი ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGC%2f10&Lang=en

ბავშვის უფლებათა კონვენცია ნევრ სახელმწიფოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო პოლიტიკის დანერგვას ავალდებულებს.²⁸

3.1 ახასიანდლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის ბაზისური პრინციპები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის ზოგადი პრინციპები თავმოყრილია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2, მე-3,- მე-6 და მე-12 მუხლებში, უფრო დეტალურად კი მუხლებში 37 და 40.²⁹

ბავშვის ინტერესები (CRC მუხლი 3)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, უპირველესად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს. ბავშვები ზრდასრულებისგან განსხვავდებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის მსუბუქ ფორმებს და შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკე გამოყოფის საფუძველს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში გულისხმობს ეჭვმიტანილი, ბრალდებული და დამნაშავედ მიჩნეული ბავშვების რეაბილიტაციაზე და არა - დასჯაზე, აქცენტის გაკეთებას.³⁰

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადანყვეტილების მიღების კომპეტენცია და პასუხისმგებლობა სასამართლო ორგანოებს აქვს, ნევრმა სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დანერგონ მულტიდისციპლინარული მიდგომები ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების მიზნით“. სახელმძღვანელო მითითებები ამბობს:³¹

16. ხელი უნდა შეეწყოს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების თანამშრომლობას ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით, რათა სრული ინფორმაცია იქნას მოძიებული ბავშვის თაობაზე და ამომწურავად იქნას შეფასებული მისი ქმედუნარიანობის, ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური და კოგნიტური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

17. ბავშვებზე ან ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალისთვის (ადვოკატები, ფსიქოლოგები, პოლიცია, საიმიგრაციო სამსახურების პერსონალი, სოციალური მუშაკები და მედიატორები), უნდა შემუშავდეს შეფასების საერთო ჩარჩო, რომელიც სამართალწარმოებისას ან სხვა ინტერვენციისას გადანყვეტილების მიმღებ პირებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გადანყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

²⁸ CRC/C/GC/10, პარაგრაფი 4

²⁹ Ibid პარაგრაფი 5

³⁰ Ibid პარაგრაფი 10

³¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, 18

18. მულტიდისციპლინარული მიდგომების დანერგვის პროცესში დაცული უნდა იქნას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პროფესიული ეთიკის წესები.³²

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/800/EU „სამართლებრივ დევნაში ეჭვმიტანილ და ბრალდებულ ბავშვთა პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის თაობაზე“ მე-7 მუხლი სამართლებრივ პროცედურებში ეჭვმიტანილი და ბრალდებული ბავშვების ინდივიდუალური შეფასების უფლების თაობაზე საუბრობს. ინდივიდუალური შეფასების მიზანია ბავშვის უსაფრთხოებასთან, განათლებასთან, ცოდნასთან და სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საჭიროებების წარმოჩენა, რათა მოხდეს მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დადგენა (იხილეთ 3.5).³³

დისკრიმინაციის დაუშვებლობა (CRC მუხლი 2)

სახელმწიფონი ვალდებული არიან, არ დაუშვან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დისკრიმინაცია და შესაბამისად, უზრუნველყონ მათი სამართლიანი მოპყრობა. რაც გულისხმობს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების მომზადებას, შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და სხვა სამართლებრივი ზომების დანერგვას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა მონყვლად ჯგუფებს, როგორებიცაა უსახლკარო ბავშვები, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები, აბორიგენი ბავშვები, გოგონები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, დანაშაულის განმეორებით ჩამდენი ბავშვები. განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გატარდეს ყოფილი კანონდამრღვევი ბავშვების დისკრიმინაციის წინააღმდეგ - მაგალითად: განათლებასა და დასაქმებაში დახმარების განევა, საზოგადოებაში რეინტეგრაციაში დახმარება და მათი საზოგადოებაში ჩართულობის დადებითი როლის თაობაზე საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება. არ უნდა მოხდეს ქცევითი პრობლემების (როგორიცაა სახლის მიტოვება, მანანნალობა, სკოლის გაცდენები და სხვა) კრიმინალიზაცია.

რიადის სახელმძღვანელო მითითებების 56-ე მუხლში აღნიშნულია: „იმისათვის, რომ ახალგაზრდა პირების შემდგომი სტიგმატიზაცია, ვიქტიმიზაცია და კრიმინალიზაცია თავიდან იქნეს აცილებული, უნდა განხორციელდეს კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ითვლება დანაშაულად ან არ ისჯება ზრდასრულის მიერ ჩადენის შემთხვევაში, არ ითვლებოდეს დანაშაულად და არ ისჯებოდეს იმ შემთხვევაში, თუკი იგი ჩადენილ იქნება ახალგაზრდა პირის მიერ“³⁴

³² Ibid პარაგრაფი 23

³³ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2016/800/EU ეჭვმიტანილი და ბრალდებული ბავშვების პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის თაობაზე, 11 მასი, 2016

³⁴ გაეროს დოკუმენტი CRC/C/GC10, 25 აპრილი, 2007, 6-9 პარაგრაფები

სიცოცხლის ხელშეუხებლობის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარე- განვითარების უფლება (CRC მუხლი 6)

სიცოცხლის ხელშეუხებლობის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება ბავშვების კანონთან კონფლიქტში შესვლის პრევენციისაკენ მიმართული პროგრამებისა და პოლიტიკის შთამაგონებელი ძალა უნდა იყოს. ამას გარდა, ამ უფლებამ უნდა განაპირობოს ბავშვის განვითარების ხელშემწყობი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე (1) მუხლი კრძალავს სიკვდილით დასჯასა და სამუდამო პატიმრობას, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლების შესაძლებლობას.

მუხლი 37(2) ამბობს, რომ ბავშვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, როგორცაა, დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება, უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება მცირე დროის განმავლობაში.³⁵

ბავშვის შეხედულებების პატივისცემა (CRC მუხლი 12)

ბავშვს აქვს საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უფლება. ბავშვის შეხედულებები, სასამართლო და ადმინისტრაციული წესით საქმის ნებისმიერი განხილვისას, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული.³⁶

ღირსება (CRC მუხლი 40(1))

მთელი სამართლებრივი პროცესის განმავლობაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ღირსების თანდაყოლილი უფლება. მისდამი ნებისმიერი მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს ბავშვში სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის განმტკიცებას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და ხელს უწყობდეს საზოგადოებაში სრულფასოვან რეინტეგრაციას. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმით ძალადობა უნდა იყოს აკრძალული და შეძლებისდაგვარად თავიდან აცილებული.³⁷

3.2 ახახანდროვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო პრინციპის ძირითადი ქვეყნები

ბავშვთა კანონთან კონფლიქტში შესვლის პრევენცია

სახელმწიფონი ვალდებული არიან, გაატარონ ბავშვთა კანონთან კონფლიქტში შესვლის პრევენციული ღონისძიებები. ამ ღონისძიებების გატარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კონვენციაში ასახული პრინციპები, კერძოდ კი:

³⁵ Ibid, პარაგრაფი 11

³⁶ Ibid, პარაგრაფი 12

³⁷ Ibid, პარაგრაფები 13-14

ბავშვის საუკეთესო ინტერესები (მუხლი 3),
ცხოვრების სათანადო დონე (მუხლი 27),
ჯანდაცვა (მუხლი 24),
განათლება (მუხლები 28-29),
ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვა (მუხლი 19),
ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან დაცვა (მუხლი 32) და
სექსუალური ექსპლუატაციისაგან დაცვა (მუხლი 34).

ეს ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდნენ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა დელიკვენტური ქცევის პრევენციის თაობაზე (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები). განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა ჩაიდოს ისეთი პრევენციული პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, განსაკუთრებით, ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლის, პროფესიული მომზადებისა და მუშაობის დახმარებითა და საშუალებით.³⁸

სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი (CRC მუხლი 40(3)ა)

სახელმწიფონი ვალდებული არიან, დაადგინონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი (CRC მუხლი 40(3)ა). პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს 12-ზე ნაკლები. პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი უნდა იყოს აბსოლუტური - გამონაკლისების გარეშე (მაგალითად, სერიოზული დარღვევები). არ შეიძლება პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირის სამართლებრივ დევნაში გადაცემა. პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირების მიმართ შესაძლოა გატარდეს სხვა ინტერვენციული ღონისძიებები, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამგვარ ღონისძიებებს განეკუთვნება: საგანმანათლებლო, სამეურვეო, სამეთვალყურეო და სხვა. ინსტიტუციაში მოთავსება მხოლოდ უკანასკნელ ზომად უნდა იქნეს გამოყენებული (CRC მუხლები 37(ბ) და 20(3)).³⁹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზედა ასაკობრივი ზღვარი (CRC მუხლი 40)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ვრცელდება პირებზე, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მიღწეული აქვთ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკისათვის, მაგრამ არ მიუღწევიათ 18 წლისთვის. სახელმწიფოებმა არ უნდა შეზღუდონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ასაკი (მაგალითად, 16 წელს მიუღწეველ ინდივიდებზე). სახელმწიფომ 18 წელს მიუღწეველი პირი არ უნდა განიხილოს ზრდასრულად, თუნდაც გამონაკლისის სახით).

³⁸ Ibid, პარაგრაფები 15-12

³⁹ Ibid, პარაგრაფები 30-55

ზოგიერთი სახელმწიფო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ავრცელებს 18 -21 წლის ინდივიდებზე. ამგვარი პოლიტიკა ბავშვის უფლებათა კონვენციასთან წინააღმდეგობაში არ იმყოფება. პირიქით, ეს კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდა ადამიანების უფლებათა კუთხით პოზიტიურ ნაბიჯად განიხილება.⁴⁰

ინტერვენციები: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ ზომების მიღება სასამართლო განხილვის გარეშე (CRC 40(3)(ბ))

სახელმწიფონი ვალდებული არიან, შეიმუშაონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სასამართლო განხილვის გარეშე გასატარებელი ზომები (მაგალითად: განრიდება), ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით. განრიდება უნდა გამოიყენებოდეს ყველა ნაკლებად მძიმე და დანაშაულის პირველად ჩამდენ პირებთან მიმართებაში და არა მხოლოდ. განრიდება დადებითად მოქმედებს როგორც სტიგმატიზაციის თავიდან აცილებაზე, აგრეთვე თავად ბავშვებზე და საზოგადოებაზე. ამასთანავე, განრიდება ეკონომიკურადაც მარგია. განრიდების მექანიზმებს განეკუთვნება: თემური პროგრამები, როგორცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო, სოციალური მუშაკების თუ სხვა კვალიფიციური პირების მიერ მეთვალყურეობა და კონსულტაცია, ოჯახური შეხვედრები და აღდგენითი სამართლის სხვა ფორმები, როგორებიცაა ზარალის ანაზღაურება.

კანონში უნდა იყოს ასახული, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი განრიდების გამოყენება. ამ კუთხით პოლიციის, პროკურორისა თუ სხვა მოქმედი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს რეგულირებული და განხილული. უნდა არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები, რათა განრიდება გამოყენებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს დანაშაული დამადასტურებელი საკმარისი ნივთმტკიცება და არსებობს ბავშვის თანხმობა განრიდების თაობაზე. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ სამართლებრივი პროცედურების დაწყების შემდეგ, პროკურორები და სხვა პირები მუდმივად უნდა განიხილავდნენ

სასამართლო პროცესის ალტერნატივებს.⁴¹

ინტერვენციები: კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ ზომების მიღება და სამართლებრივი პროცედურები (დევნა?) (CRC მუხლი 40(4))

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ სამართლებრივი პროცედურების დაწყებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპები (იხ. ქვემოთ)

სახელმწიფონი ვალდებული არიან, უზრუნველყონ სხვადასხვა სოციალური და საგანმანათლებლო სერვისებისა და ღონისძიებების არსებობა, როგორებიცაა: მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება. კონსულტაცია, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, განათლება

⁴⁰ Ibid, პარაგრაფები 36-39
⁴¹ Ibid, პარაგრაფები 24-27, 68-69

და პროფესიული მომზადება. კანონი სასამართლოს/მოსამართლეს უნდა სთავაზობდეს ინსტიტუციური ზრუნვისა და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივებს. ბავშვის კეთილდღეობისა, საუკეთესო ინტერესებისა და რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და დაცვა უნდა იყოს პრიორიტეტული. თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება მცირე დროით (CRC მუხლი 37(ბ)).⁴²

ევროპული წესების არასრულწლოვანი კანონდამრღვევების შესახებ მიზანია უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი კანონდამრღვევების ნებისმიერი სახის ზომის გატარებისას, გათვალისწინებული და დაცული იყოს მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობა.⁴³

ზოგად კომენტარში №13 (2001) ბავშვის უფლებათა კომიტეტი წარმოადგენს მითითებებს, თუ როგორ შეიძლება ბავშვის დაცვის ცალკეული, ფრაგმენტული და რეაქციული ინიციატივების სანაცვლოდ, ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული საყოველთაო ღონისძიებების შემუშავება. კომიტეტი ამბობს: საჭიროა არსებობდეს ძალადობის ჩამდენებისათვის, განსაკუთრებით, ძალადობის ჩამდენი ბავშვებისათვის განკუთვნილი სერვისები და მკურნალობა. მოძალადე ბავშვები ხშირად მოკლებულნი არიან ოჯახურ და საზოგადოებრივ ზრუნვას. ისინი აღქმულნი უნდა იყვნენ, როგორც მსხვერპლნი აღზრდისა და გარემოსი, რომელიც მათ იმედგაცრუებით, სიძულვილითა და აგრესიით აღავსებს. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პრო-სოციალური შეხედულებებისა და ქცევების გამაღვივებელ და წამახალისებელ საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებას. ამავდროულად უნდა შემოწმდეს ამ ბავშვთა საცხოვრებელი პირობები და ამ მიმართულებით გადაიდგას კონსტრუქციული ნაბიჯები.⁴⁴

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (CRC მუხლი 40(2)(ბ))

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40(2)(ბ) მუხლში წარმოდგენილია სია, რომლის მიზანსაც ბავშვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა წარმოადგენს:

ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

- I) უდანაშაულობის პრეზუმპცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;
- II) მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება - აუცილებლობის შემთხვევაში კი ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით - მისთვის ნაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

⁴² Ibid, პარაგრაფები 28-29

⁴³ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი არასრულწლოვანთა კანონდარღვევებისადმი ღონისძიებების გატარების თაობაზე

⁴⁴ გაეროს დოკუმენტი CRC/C/GC/13. 18 აპრილი, 2011, პარაგრაფი 52

III) კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიკერძობული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) ძალდატანებისაგან თავისუფლება, მიმართული იმისკენ, რომ ბავშვმა მოწმის სახით მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა ან დამოუკიდებლად, ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიკერძობული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;

VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ ლაპარაკობს ამ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

ზოგადი კომენტარი №10 დანვრილებით წარმოადგენს მითითებებს. იხსენიებს რა ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 (2)(b)(vii) მუხლს, კომიტეტი ხაზს უსვამს საქმის განხილვის ყველა სტადიაზე პირადი ცხოვრების პატივისცემის ვალდებულებას - არ უნდა გამოქვეყნდეს ისეთი ინფორმაცია, რომლითაც ბავშვის იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნება. ბავშვის ჩანაწერები მკაცრად კონფიდენციალური უნდა იყოს და არ უნდა იქნეს გამოყენებული სრულწლოვანის საქმის შემდგომ განხილვებზე.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016/80/EU დირექტივის მიზანს წარმოადგენს ბავშვთა ანუ თვრამეტ წელს მიუღწეველ პირთა, რომლებთან მიმართებაში მიჩნეულია, რომ მათ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედებათ მის დარღვევაში, - საპროცესო უფლებების უზრუნველყოფა. რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ სამართლებრივი პროცედურების განმავლობაში უნდა სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. ამასთანავე, ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული დანაშაულის ხელახალი ჩადენის თავიდან აცილებისთვის და სრულფასოვანი სოციალური ინტეგრაციისათვის.

დოკუმენტის საკითხებს წარმოადგენს: ინფორმირებულობის უფლება, ბავშვის უფლება შეატყობინონ მშობელს ან სხვა მზრუნველს; იურიდიული დახმარება, ინდივიდუალური შეფასების უფლება, სამედიცინო შემოწმების უფლება, გამოკითხვა ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერი, თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვები, ალტერნატიული ღონისძიებები, განსაკუთრებული მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, საქმის დროული და სამართლიანი განხილვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,

მშობლის ან სხვა მზრუნველის თანხლების უფლება, სასამართლო განხილვაზე პირადად დასწრებისა და მონაწილეობის უფლება, ევროპული დაპატიმრების ორდერი; იურიდიული დახმარების უფლება, მკურნალობა, სწავლა-განათლება. (იხ. ნაწილი 3.5).⁴⁵

თავისუფლების აღკვეთა (CRC მუხლი 37(ბ)-(დ))

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვების საპროცესო უფლებებს, მათდამი მოპყრობასა და მდგომარეობას შეეხება. 37-(ბ)-(დ)-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა მოიცავს: დაპატიმრებას, დაკავებას და ციხეში მოთავსებას. ბავშვის უფლებათა კონვენციის განსაზღვრება მოცემულია გაეროს წესებში თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანური წესები): „დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერი ფორმა, ან სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანების საფუძველზე, პირის მოთავსება კერძო ან საჯარო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილით დატოვების უფლებაც პირს არ გააჩნია.“

ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება უნდა იყოს კანონიერი და გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება მცირე დროის განმავლობაში. არცერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად (CRC მუხლი 37(ბ)).

სახელმწიფოებმა წინასწარი დაკავებისას უნდა გაატარონ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები. კანონში ნათლად უნდა იყოს ნათქვამი, რა შემთხვევაში არის შესაძლებელი არასრულწლოვნის წინასწარ დაკავებაში მოთავსება. წინასწარი დაკავების მაქსიმალური ხანგრძლივობა განსაზღვრული უნდა იყოს კანონით და ხდებოდეს მისი გადახედვა. წინასწარ დაკავებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები უნდა მიიღოს კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანომ. ბავშვს უნდა გაეწიოს იურიდიული თუ სხვა საჭირო დახმარება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37(დ)-ე მუხლში ნათქვამია: “ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყონებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყონებლივ გამოიტანონ გადანყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.” ბავშვის დაპატიმრებასა და თავისუფლების აღკვეთის კანონიერება კომპეტენტურმა ორგანომ თავისუფლების შეზღუდვიდან 24 საათის განმავლობაში უნდა განიხილოს. თავისუფლების აღკვეთის სამართლებრიობის გაპროტესტება მოიაზრებს არამხოლოდ აპელაციის უფლებას, არამედ წვდომას სასამართლოსთან ან სხვა კომპეტენტურ და მიუკერძოებელ სამართლებრივ თუ სხვა

⁴⁵ 2016 წლის 11 მაისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2016/800/EU არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და ეჭვმიტანილების პროცესუალური უსაფრთხოების თაობაზე

ორგანოსთან. დაუყოვნებლივი გადანყვეტილების უფლება გულისხმობს, რომ გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგალითად, გაპროტესტებიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში.

ყოველი თავისუფლებაალკვეთილი ბავშვი ზრდასრულებისგან უნდა განცალკევდეს (CRC მუხლი 37(გ)). თავისუფლებაალკვეთილი ბავშვი არ უნდა მოთავსდეს ზრდასრულთა ციხეში. განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს გამოყენება და ინტერპრეტირება იმ დასაშვები გამონაკლისისა, რომლის შესახებაც ბავშვის უფლებათა კონვენციის 37(გ)-ე მუხლში წერია - „როცა ამის გაკეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არ წარმოადგენს“. სახელმწიფოებმა თავისუფლებაალკვეთილი ბავშვებისათვის უნდა ჩამოაყალიბონ სპეციალური დანესებულებები და ინსტიტუციები, რაც გულისხმობს სპეციალიზირებული, ბავშვზე ორიენტირებული პერსონალის, პროფესიონალების, პოლიტიკისა და მიდგომების მომზადებას. ყოველ თავისუფლებაალკვეთილ ბავშვს აქვს ოჯახთან კავშირის უფლება, რაც გულისხმობს შეხვედრებსა და კორესპონდენციას. შეხვედრების უზრუნველსაყოფად, ბავშვი უნდა მოთავსდეს ოჯახის საცხოვრებელთან რაც შეიძლება ახლოს.

სახელმწიფოებმა სრულად უნდა გამოიყენონ და დანერგონ გაეროს წესები თავისუფლებაალკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 1990 წლის 14 დეკემბერს 45/113 რეზოლუციით მიიღო; აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტები. ქვემოთ წარმოდგენილია პრინციპები, მიდგომები და წესები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთისას:

- ბავშვები მოთავსებული უნდა იყვნენ ისეთ გარემოში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი რეაბილიტაცია, ყურადღება მიექცევა პირადი ცხოვრების პატივისცემას, მგრძნობელობას (სენსორი სტიმული), შესაძლებელი იქნება თანატოლებთან ურთიერთობა, სპორტულ თუ სხვა ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობა, თვითგამოხატვა და სხვა.
- სავალდებულო სასკოლო ასაკის ყოველ ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს მის საჭიროებებზე მორგებული განათლება, რაც მას საზოგადოებაში დაბრუნებაში დაეხმარება; ამას გარდა, საჭიროებისა და სურვილისამებრ, ბავშვებს უნდა შეეძლოთ გაიარონ პროფესიული სწავლება, რაც მათ სამომავლო დასაქმებაში დაეხმარება.
- ყოველ ბავშვს აქვს უფლება საპატიმრო/გამოსასწორებელ დანესებულებაში მოხვედრამდე გაიაროს სამედიცინო შემოწმება და ინსტიტუციაში ყოფნის განმავლობაში მიიღოს შესაბამისი სამედიცინო დახმარება.
- დანესებულებაში მომუშავე პირებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის ურთიერთობას გარე საზოგადოებასთან, მათ შორის ოჯახთან, მეგობრებთან, სხვა ადამიანებთან თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; აგრეთვე სახლში სტუმრობის შესაძლებლობას.
- შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები - როცა ბავშვი სხვებისათვის

ან საკუთარი თავისათვის აშკარა ფიზიკურ საფრთხეს წარმოადგენს და კონტროლის ყველა სხვა მეთოდი ამონურულია. შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენებას, იქნება ეს ფიზიკური, მექანიკური თუ სამედიცინო საშუალებები, მეთვალყურეობას უნდა უწევდეს სამედიცინო და/ან ფსიქოლოგიური პერსონალი. დაუშვებელია შეზღუდვისა და ძალის სადამსჯელო ღონისძიებად გამოყენება. სტანდარტების დანესებულებაში მომუშავე პირებმა უნდა გარიონ სპეციალური სწავლება, ხოლო შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის ბოროტად გამომყენებლები სათანადოდ უნდა დაისაჯონ.

- ნებისმიერი გამოსასწორებელი ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვნის ღირსებასა და ინსტიტუციური ზრუნვის მიზნებს; გამოსასწორებელი ღონისძიებები, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლს არ შეესაბამება, როგორებიცაა ბნელ საკანში მოთავსება, იზოლირებულ საკანში მოთავსება და დასჯის სხვა მეთოდები, რომლებიც ბავშვის ფიზიკურ და/ან ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს, მკაცრად უნდა იყოს აკრძალული.

- ყოველ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, მოთხოვნიდა თუ საჩივრით, შინაარსის ცენზურის გარეშე, მიმართოს ადმინისტრაციას, სასამართლო თუ სხვა უფლებამოსილ ორგანოს და დანესებულებას. ეს უნდა ხდებოდეს დაყოვნების გარეშე. ბავშვებმა უნდა იცოდნენ ამ მექანიზმების არსებობის შესახებ და ჰქონდეთ მათთან წვდომა

- დამოუკიდებელ და უფლებამოსილ ინსტიტუტებს თუ ორგანოებს უფლება და საშუალება უნდა ჰქონდეთ, განახორციელონ როგორც რეგულარული, ასევე მოულოდნელი შემოწმებები; მათ განსაკურებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ ბავშვებთან კონფიდენციალურ საუბარს.⁴⁶

ასევე უნდა აღინიშნოს რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 არასრულწლოვან კანონდამრღვევთა მიმართებით გატარებული ღონისძიებების წესების თაობაზე, რეკომენდაცია Rec(2005)5 ინსტიტუციებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებების თაობაზე და რეკომენდაცია Rec(2006)2 ციხის ევროპული წესების თაობაზე.

3.3 ახახუნდნოვანთა მახოცსაჯილების ოხბანიზება (მონყობა) (CRC მუხლი 40(3))

სახელწიფოებს აქვთ ვალდებულება, შეიმუშაონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განკარგვის მექანიზმები და სისტემა. ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 40(3) ამბობს: „სახელმწიფოები უნდა ცდილობენ კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დანესებულებების ჩამოყალიბებას ბავშვებისათვის, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად,“. როგორი უნდა იყოს ეს კანონები და პროცედურები მოცემული ქვემოთ. კომიტეტის

⁴⁶ Ibid, პარაგრაფები 78-79

თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო სისტემისათვის აუცილებელია:

ა) პოლიციაში, პროკურატურასა და სასამართლოში სპეციალიზირებული ერთეულები

ბ) არასრულწლოვანთა სასამართლო, ცალკე ან ადგილობრივი სასამართლოს ნაწილად. სადაც ეს პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე შესაძლებელი არაა, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზირებული მოსამართლეების ან მაგისტრატების დანიშვნა.

გ) სპეციალიზირებული ადვოკატები ან სხვა სამართლებრივი წარმომადგენლები

დ) სპეციალიზირებული სერვისები, როგორებიცაა პრობაცია, კონსულტაცია ან სუპერვიზია, და ზრუნვისა და მოძალადე ბავშვებისათვის განკუთვნილი დაწესებულებები

ე) თანამშრომლობა სპეციალიზირებულ ერთეულებს, სერვისებსა და დაწესებულებებს შორის

ვ) ბავშვთან მომუშავე პროფესიონალების მომზადება და სწავლება. სწავლება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის უფლებათა კონვენციაზე, არასრულწლოვნებში დელიკვენტური ქცევის მიზეზებს, ბავშვთა ფსიქოლოგიური თუ სხვაგვარი განვითარების საკითხებს; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გოგონებისა და უმცროსობების წარმომადგენელი ბავშვების საკითხებს, მსოფლიოში არსებულ ახალგაზრდულ კულტურულ ტრენდებს, ჯგუფური აქტივობის დინამიკას და სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისადმი მიმართულ არასასამართლო პროცედურებს

ზ) ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების შეფასება

თავი 4.

ბავშვის ბამოხითხვა სისხლის სამართლის ჰიმოაქიხებში

„ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი და მეგობრული დამოკიდებულება მათი დაცვის ნაწილია. განმეორებითი დამოკიდებულები, მძიმე გარემო და პროცედურები, დისკრიმინაცია და სხვა მრავალი ამგვარი მიდგომა ბავშვებისათვის, რომლებიც, შესაძლოა, დახმარებას და დაცვას საჭიროებენ, ტკივილის და ტრავმის მომტანია. ხოლო ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებას ბავშვისთვის შევბამოაქვს; ის არ აღრმავებს ტრავმას და არ აღრვევს ბავშვთა უფლებებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ბავშვისადმი, დაბადებიდან 18 წლამდე, სასამართლო პროცესის მონაწილე იქნება ის, დაზარალებული, მონმე თუ დამნაშავე, უნდა გამოიყენებოდეს მიდგომა „ბავშვები უწინარეს ყოვლისა“.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემის მიერ ბავშვების მეორადი ვიქტიმიზაციისა-გან დაცვის მიზნით შეიქმნა, რაც, თავის მხრივ, ერთიანი, მულტიდისციპ-ლინარული მიდგომის სამუშაო მეთოდების შემუშავებას გულისხმობს“⁴⁷

მოდ დე ბერ ბუკიკიო (Maud de Boer Buquicchio)⁴⁸

სამართლებრივ დოკუმენტებში, „დამოკიდებვის“ გარდა, გამოიყენება „დაკითხვა“, „მოსმენა“ („interrogation“, „inquiry“, „questioning“ or „hearing“). ამ ნაშრომში „დამოკიდებვა“ ფართო გაგებითაა გამოყენებული.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში შეიძლება გამოიკითხონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, დაზარალებული და მონმე ბავშვები. ტერმინი „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი [ბავშვები]“ აღნიშნავს 18 წელს მიუღწეველ ნებისმიერ პირს, „რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად“⁴⁹.

„დაზარალებული და მსხვერპლი ბავშვი“ აღნიშნავს ნებისმიერ 18 წელს მიუღწეველ ადამიანს, რომელიც არის დანაშაულის მსხვერპლი ან მონმე, მიუხედავად დანაშაულისა და სამართლებრივ პროცესებში მათი როლისა და ჩართულობისა.⁵⁰

განსაზღვრებები არ არის ურთიერთგამომრიცხავი. მაგალითად: კანონდამრღვევი, შესაძლოა, იყოს მსხვერპლიც; დაზარალებული, შესაძლოა, იყოს მონმეც. საილუსტრაციოდ: UNDOC/Unicef დოკუმენტი დაზარალებულ და მსხვერპლ ბავშვთა თაობაზე - სარეკომენდაციო

⁴⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, გვ.8

⁴⁸ ციტატა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპების შესავლიდან

⁴⁹ UN/CRC/C/GC/#10

⁵⁰ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 9(ა)

საკანონმდებლო ჩარჩო (იგივე, რაც მოდელური კანონი) და შესაბამისი კომენტარი (Model Law and Related Commentary) (შემდგომში მოდელური კანონი ან კომენტარი მოდელური კანონის თაობაზე) განმარტავს, რომ უნდა მოხდეს იმ ექვემიტანილი და დამნაშავე ბავშვების დაცვა, რომლებმაც განიცადეს ვიქტიმიზაცია, ძალდატანებით, დაშინებით ან იძულებით დაარღვიეს კანონი.⁵¹

მოდელურ კანონისეული განსაზღვრება “დაზარალებული და მოწმე ბავშვისა” შეეხება ნებისმიერ 18 წელს მიუღწეველი პირს, რომელიც გახდა დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე, მიუხედავად დანაშაულსა და სამართალწარმოებაში მისი მონაწილეობის ტიპის ნაირგვარობისა.⁵² სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოდელური კანონი არ განარჩევს დაზარალებულებს, რომლებიც ამასთანავე მოწმეები არიან, დაზარალებულებისაგან, რომლებიც არ არიან მოწმეები; მოდელური კანონი არ განარჩევს იმ მოწმეებსა და დაზარალებულებს, რომლებიც კანონთან კონფლიქტში არიან, იმ მოწმეებისა და დაზარალებულებისაგან, რომლებიც არ არიან.⁵³

ამ დოკუმენტში, საქართველოში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, გათვალისწინებული იმ სამართლებრივ წყაროებს, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი, დაზარალებული და მოწმე ბავშვების მართებულად გამოკითხვისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. გამოყენებულ იქნა შემდეგი დოკუმენტები:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (სავალდებულო კანონი/hard law)
- ზოგადი კომენტარი №10 (2007) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ბავშვის უფლებათა შესახებ (არასავალდებულო კანონი/soft law)
- სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულებაში დაზარალებული და მოწმე ბავშვების შესახებ (მიღებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ) (არასავალდებულო კანონი/soft law)
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის დირექტივა 2016/800/EU სისხლის სამართალდარღვევაში ექვემიტანილი და ბრალდებული ბავშვების პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ (სავალდებულო კანონ/hard law)
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, დახმარებისა და დაცვის შესახებ (ჩაანაცვლა დადგენილება 2012/ 22/JHA) (სავალდებულო კანონი/hard law)

⁵¹ UNDOC/Unicef (2009) მართლმსაჯულება დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მიმართებაში, გვ. ივ, პარაგრაფი 8. ნიუ იორკი, 2009.

⁵² UNDOC/Unicef (2009) მართლმსაჯულება დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მიმართებაში, გვ. 5, განსაზღვრება (ა). ნიუ იორკი, 2009

⁵³ UNDOC/Unicef (2009) მართლმსაჯულება დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მიმართებაში, გვ. 29. ნიუ იორკი, 2009

- ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 25-10-2007 (ლანსაროტეს კონვენცია) (სავალდებულო კანონი/hard law)
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ (არასავალდებულო კანონი/soft law)
- ევროპის კომისიის რეკომენდაცია (Rec. C(2013) 8178/2) ეჭვმიტანილი და ბრალდებული მონყვლადი პირების პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის შესახებ (არასავალდებულო კანონი/soft law)
- UNODC/UNICEF (2009) მართლმსაჯულება დაზარალებულ და მონმე ბავშვებთან მიმართებაში. მოდელური კანონი და შესაბამისი კომენტარი (არ არის სამართლებრივი დოკუმენტი).

ამ თავში სისხლის სამართლებრივი პროცედურებისას გამოკითხული მონმე და ეჭვმიტანილი ბავშვების დაცვისათვის შემდეგ მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები არის განხილული:

- ბავშვის დაცვის ინტეგრირებული სისტემა
- გამოკითხვამდე მონმე და ეჭვმიტანილი ბავშვების ინდივიდუალური შეფასება
- სხვადასხვა სექტორში მომუშავე პროფესიონალების ჩართულობა
- მომზადება
- გამოკითხვის მეთოდი, გარემო და კვალიფიკაცია
- პირადი ცხოვრება/პირადი სივრცე

4.1. ბავშვის დაცვის ინტეგრირებული სისტემა

ბავშვის დაცვის ინტეგრირებულ სისტემად განიხილება სისტემა, რომელიც:

- მონყობილია ბავშვის გარშემო;
- მორგებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე;
- უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა კონვენციაში (CRC) ასახულ ბავშვის უფლებების დაცვას;
- განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მონყვლად ჯგუფებს, როგორებიცაა თავისუფლებალკვეთილი და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები; უზრუნველყოფს სხვადასხვა სექტორებისა და სისტემების, როგორებიცაა განსაზოგადოება, თემი და ოჯახი, თანამშრომლობას ბავშვის დაცვისა და დახმარების საკითხებში.⁵⁴

⁵⁴ იხ. ევროპის საბჭოს ინტეგრირებული სტრატეგია ძალადობის წინააღმდეგ: <https://rm.coe.int/168046d3a0>. ბავშვის დაცვის სისტემა <http://fra.europa.eu/en/publication/2015/mapping-child-protection-systems-eu/background-info>

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები განსაკუთრებით მონყვლადი ჯგუფის წევრებად განიხილებიან და მათი დაცვა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ასევე განსაკუთრებით მონყვლადნი არიან დაზარალებული და მოწმე ბავშვებიც. მათი დახმარებისას, სისხლის სამართლებრივ პროცედურებში ტრავმის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მათი ასაკის, განვითარების დონისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.⁵⁵ დაზარალებული და მოწმე ბავშვები, განსაკუთრებით, როცა საქმე სექსუალურ ძალადობასა და სექსუალურ ექსპლუატაციას ეხება, შესაძლოა, დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის მძიმე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ შედეგებს განიცდიდნენ.

სისხლის სამართლებრივ პროცედურათა ფარგლებში გამოკითხული ექვმიტანილი და მოწმე ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა გულისხმობს:

- ბავშვის მიმართ ძალადობაზე, უგულვებელყოფასა და ექსპლუატაციაზე რეაგირებისა და პრევენციის მექანიზმებსა და ღონისძიებებს. სისხლის სამართლებრივი პროცედურების ფარგლებში გამოკითხული ექვმიტანილი და მოწმე ბავშვებისათვის ეს გულისხმობს:
 - (1) მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრით გამონვეული მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაზე ორიენტირებულ მექანიზმებს, განსაკუთრებით - მულტიდისციპლინარულ სამუშაო მეთოდებს.⁵⁷
 - (2) ძალადობის, უგულვებელყოფისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ზრუნვაზე, მკურნალობაზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებასა და სოციალურ რეინტეგრაციაზე ორიენტირებულ მექანიზმებს.
- ბავშვის საჭიროებების შეფასებასა და განსაზღვრაზე ორიენტირებულ მულტისექტორულ მიდგომას.
- მშობელთა უფლებების, მოვალეობების და აგრეთვე მათი ჩართულობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ მექანიზმებს.
- ექვმიტანილი და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების აღსრულების უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ მექანიზმებს.

4.2. აჭვითხანილი და მოწმე ბავშვების საჭიროებების შეფასება ბაშოხითხვამდე

ბავშვის საუკეთესო ინტერესები

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელსაც ბავშვზე ან ბავშვთა ჯგუფზე გავლენა ექნება, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული (CRC მუხლი 3(1)). კანონთან კონფლიქტში მყოფი

⁵⁵ ECOSOC/RES/2005/20 (ლანსაროტეს კონვენცია) მუხლი 30(2)

⁵⁶ ECOSOC/RES/2005/20

⁵⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე

ბავშვებისათვის ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი პროცედურების განმავლობაში პრიორიტეტი ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს. საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია დაზარალებული და მოწმე ბავშვების შემთხვევაშიც, მაგრამ, ამასთანავე, უნდა მოხდეს ბრალდებულისა თუ დამნაშავედ მიჩნეულის უფლებების დაცვა.⁵⁸

მულტიდისციპლინარული მიდგომა

ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად,⁵⁹ მულტიდისციპლინარული ჯგუფის მუშაობას უწევს რეკომენდაციას. მულტიდისციპლინარული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შემთხვევაში და მისი მიზანია ბავშვის როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი ინტერესების შეფასება, აგრეთვე ოჯახისა და მზრუნველების შეფასება. კანონთან კონფლიქტში ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესწავლა გულისხმობს მისი ისტორიისა და ბავშვის დაცვის საჭიროებების შეფასებას.⁶¹ ბავშვმა და მისმა ოჯახმა (ან მზრუნველებმა) მონაწილეობა უნდა მიიღონ შეფასების პროცესში, სადაც, როგორც ბავშვის, აგრეთვე ოჯახისა და მზრუნველების შეხედულებები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.⁶²

ნებისმიერმა ტრავმირებულმა ბავშვმა (არ აქვს მნიშვნელობა, ეჭვმიტანილია, ბრალდებული, მოწმე თუ დაზარალებული) უნდა გაიაროს საჭირო მკურნალობა. ბავშვის ძალადობისგან დაცვის ვალდებულება (CRC მუხლი 19) მოიცავს ინტერსექტორული რეფერირების პროცედურების არსებობას.

ინდივიდუალური შეფასება

მნიშვნელოვანია ეჭვმიტანილი და მოწმე ბავშვების გამოკითხვასთან (პოლიციასა თუ სასამართლოში) დაკავშირებული საჭიროებების გათვალისწინება. ამისათვის ინდივიდუალური შეფასება საუკეთესო საშუალება შეიძლება იყოს. დირექტივებში 2016/800/EU და 2012/29/EU ეჭვმიტანილი, ბრალდებული და დაზარალებული ბავშვების ინდივიდუალური შეფასება სისხლის სამართლებრივი პროცედურების აუცილებელ ნაწილადაა წარმოდგენილი.

⁵⁸ ECOSOC/RES/2005/20 პარაგრაფი 8(c); ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტირების მაგალითის

სანახავად იხილეთ მოდელური კანონის მუხლი 1 UNODC/UNICEF (2009)

⁵⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №14 (2013) ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭების თაობაზე (მუხლი 3, პარაგრაფი 1), UN Doc. CRC/C/GC/14. 29 მაისი, 2013, პარაგრაფი 47

⁶⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებულ

მართლმსაჯულების შესახებ, მუხლი 72

⁶¹ UN/CRC/GC/14 პარაგრაფი 76

⁶² UN/CRC/GC/13 პარაგრაფი 50

ინდივიდუალური შეფასება

ინდივიდუალური შეფასება რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს.⁶³
 ექვმიტანილ და ბრალდებულ ბავშვთა შეფასება აუცილებლად სასამართლო მოსმენებამდე უნდა მოხდეს.⁶⁴
 პოლიციაში გამოკითხვამდე შეიძლება ვერ მოხერხდეს ბავშვის შეფასება, მაგრამ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ბავშვის შეფასება სასამართლოში გამოკითხვამდე.

ინდივიდუალური შეფასება ბავშვის ჩართულობით უნდა მოხდეს და მისი შეხედულებები შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული.⁶⁵

ინდივიდუალური შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებმა უნდა განხორციელონ.⁶⁶

ექვმიტანილი ბავშვები

მონმე/დაზარალებული ბავშვები

ექვმიტანილი და ბრალდებული ბავშვების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მათი საჭიროებების, დაცვის, განათლების, სწავლებისა და სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით შეფასება, რათა მოხდეს სისხლის სამართლებრივი პროცედურებისას მათდამი გასატარებელი ღონისძიებების, სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ამა თუ იმ სადამსჯელო თუ საგანმანათლებლო ღონისძიების შესაბამისობის განსაზღვრა.⁶⁷

ინდივიდუალური შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის პიროვნება და განვითარება; ბავშვის სოციო-ეკონომიკური და ოჯახური გარემო; ბავშვის მონყვლადობა.⁶⁸

დაზარალებული ბავშვის შეფასების მიზანია მისი მეორადი ვიქტიმიზაციის და დაშინების რისკის განსაზღვრა და შესაბამისი დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა.⁷⁰

ინდივიდუალური შეფასებისას უნდა მოხდეს პირის მახასიათებლების (როგორებიცაა ასაკი, სქესი, გენდერული იდენტობა, ეთნიკურობა, რასა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქალაქეობა, კომუნიკაციური სირთულეები, მოძალადესთან დამოკიდებულება და ძალადობის გამოცდილება), დანაშაულის ტიპისა და გარემოებების (მაგალითად, იყო

⁶³ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(5,6); დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22

⁶⁴ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(5,6)

⁶⁵ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(7); დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22(6)

⁶⁶ დირექტივა Directive 2016/800/EU მუხლი 7(7); დირექტივა Directive 2012/29/EU პარაგრაფი 61

⁶⁷ ევროპის პარლამენტისა და საბჭო 2016 წლის 11 მაისის დირექტივა 2016/800/EU ექვმიტანილი და ბრალდებული პროცესუალური უსაფრთხოების თაობაზე

⁶⁸ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(2)

⁷⁰ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22(1,4)

<p>ბავშვის შეფასებით მიღებული ინფორმაცია უფლებამოსილმა პირებმა და ორგანოებმა უნდა გამოიყენონ:</p> <p>ა) ბავშვისადმი გატარებული კონკრეტული ღონისძიების სარგებლიანობის;</p> <p>ბ) ბავშვისადმი გატარებული წინასწარი ღონისძიებების შესაბამისობისა და ეფექტურობის და</p> <p>გ) სამართლებრივი პროცედურების განმავლობაში გადანაცვლებების (მათ შორის, სასამართლო განაჩენის გამოტანისას) მიღებისას⁶⁹</p>	<p>თუ არა სიძულვილით გამოწვეული ძალადობა, დისკრიმინაციით გამოწვეული ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ძალადობა ახლობელი ადამიანისგან, ძალადობა ძალაუფლების მქონე პირისგან, მაღალი კრიმინალური მაჩვენებლის ან კრიმინალური დაჯგუფებების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული; იყო თუ არა დანაშაული ჩადენილი ნევრ სახელმწიფოში) გათვალისწინება.⁷¹</p>
<p>ინდივიდუალური შეფასებისას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად უნდა იყოს გამოყენებული მულტიდისციპლინარული მიდგომა; 2. როცა ეს მისაღებია, უნდა მოხდეს მშობლის თუ სხვა მზრუნველის ან შესაბამისი ზრდასრულისა და/ან სპეციალიზებული პროფესიონალის ჩართვა⁷⁰ 	
<p>რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს მონყვლადი პირების (ეჭვმიტანილი ან ბრალდებული) იდენტიფიკაცია. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა დამოუკიდებელ ექსპერტთან, რომელიც სამედიცინო გამოკვლევის გზით მოახდენს პირების მონყვლადობის და საჭიროებების იდენტიფიკაციას. ექსპერტმა, შესაძლოა, წარადგინოს თავისი კომპეტენტური აზრი გატარებული ან დაგეგმილი ღონისძიებების ავ-კარგიანობის შესახებ. ნევრმა</p>	

⁶⁹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(4)
⁷⁰ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(7)
⁷¹ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 22(2)

სახელმწიფოებმა სამართლებრივ პროცედურებში ეფექტური მონაწილეობის შემაფერხებელი სერიოზული ფსიქოლოგიური, გონებრივი, ფიზიკური, ფსიქიკური ან კოგნიტური დარღვევების მქონე პირებისადმი უნდა გამოიყენონ მონყვლადობის პრეზუმფცია.⁷²

4.3. მშობაცთა ჩახთალობა

ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მშობლებს (ან, ზოგიერთ შემთხვევაში, კანონიერ მეურვეებს) ეკისრებათ (CRC მუხლი 18).

წევრმა სახელმწიფოებმა, ბავშვის მზარდი შესაძლებლობების გათვალისწინებით, პატივი უნდა მიაგონ მშობელთა და შესაბამის შემთხვევებში, ადგილობრივი ადათ-წესების გათვალისწინებით, ნათესავების ან თემის, მეურვეებისა და ბავშვზე პასუხისმგებელი სხვა პირების უფლება-მოვალეობებს (CRC მუხლი 5). საჭიროების შემთხვევაში, მშობლის დახმარების პასუხისმგებლობა აქვს სახელმწიფოს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, დაეხმაროს მშობლებსა კანონიერ მეურვეებს მათი აღმზრდელობითი მოვალეობების შესრულებაში და უზრუნველყოს ბავშვზე ორიენტირებული სამსახურებისა და ინსტიტუციების განვითარება. ბავშვის კეთილდღეობისათვის, მშობლის, მეურვის ან ბავშვზე პასუხისმგებელი სხვა პირის უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის დაცვა. ამისათვის უნდა გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები (CRC მუხლი 3 და მუხლი 5).

მოდელურ კანონში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ დაზარალებულ და მონმე ბავშვების მშობლებს, რომელთათვისაც მართლმსაჯულების პროცესი უცხოა, სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები შეიძლება დაეხმარონ ბავშვის მხარდაჭერის საკითხებში.⁷³

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შემთხვევაში, ბავშვის უფლებათა კომიტეტი მშობელთა თუ მეურვეთა მაქსიმალურ ჩართულობას უწევს რეკომენდაციას. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მშობელთა ჩართულობა

⁷² 2013/C 378/02, მუხლი 7 და მუხლი 4

⁷³ UNODC/UNICEF (2009, მართლმსაჯულება დაზარალებულ და მონმე ბავშვებთან მიმართებაში, 2009 გვ.9

დადებითად აისახება ბავშვის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე რეაგირების ეფექტურობაზე. მშობელთა ჩართულობისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის დაკავების შესახებ ინფორმაცია მათ რაც შეიძლება სწრაფად მიენოდოთ.⁷⁴

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად, ბავშვის მზარდი შესაძლებლობების გათვალისწინებით, საჭიროა ბავშვის⁷⁵ და მშობლის (ან კანონიერი მეურვის) ჩართულობა⁷⁶ (იხილეთ პროგრამის საერთაშორისო ჩარჩო ნაწილი 2.2).

სისხლის სამართლებრივი პროცედურებისას, აუცილებელია გამოკითხული ბავშვის მშობლების ინფორმირება პროცედურისა და ბავშვის უფლებების თაობაზე. ქვემოთ მოყვანილია მშობლის ინფორმირებისა და გამოკითხვაზე დასწრების პირობები.

მშობელთა ინფორმირება	
ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>მშობელს ან კანონიერ მეურვეს, რაც შეიძლება სწრაფად, მიენოდება ის ინფორმაცია, რისი მიღების უფლებაც ბავშვს აქვს.⁷⁷</p> <p>ბავშვის ინფორმირებისას მისი ექვმიტანილობის და ბრალდებულობის შესახებ, მას, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა განემარტოს მისი უფლებებისა და სამართლებრივი პროცედურების ზოგადი მსვლელობის შესახებ;⁷⁸</p> <p>რაც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მშობლის ან კანონიერი მეურვის ინფორმირების უფლება⁷⁹ - იურისტის დახმარების უფლება⁸⁰ - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება⁸¹ 	<p>მართლმსაჯულების პროცესის დანეებისას, ბავშვსა და მშობლებს (ან კანონიერ მეურვეს), რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიენოდოთ ის ინფორმაცია, რომელიც მონმე ბავშვმა უნდა მიიღოს.⁹⁰</p> <p>უნდა მოხდეს დაზარალებული ბავშვისა და ამგვარის არსებობის შემთხვევაში, მშობლობის უფლების მქონი პირის (ან კანონიერი მეურვის) ინფორმირება ბავშვზე მიმართული ღონისძიებებისა და უფლებების თაობაზე.⁹¹</p> <p>მოდელურ კანონში რეკომენდირებულია, რომ ბავშვის</p>

⁷⁴ UN/CRC/C/GC/#.10, პარაგრაფი 54

⁷⁵ UN/CRC/GC/14, პარაგრაფი 47

⁷⁶ CRC მუხლები 3, 5 და 18; დირექტივა 2016/800/EU მუხლი 7(7)

⁷⁷ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 5(1)

⁷⁸ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)

⁷⁹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(i)

⁸⁰ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(iii)

⁸¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(iii)

⁹⁰ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 20

⁹¹ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 1(2)

<ul style="list-style-type: none"> - მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხლების უფლება სამართლებრივი პროცედურების განმავლობაში⁸² - იურიდიული დახმარების უფლება⁸³ <p>რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული ბავშვის ინფორმირება რომ მას აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ინდივიდუალური შეფასების უფლება⁸⁴ - სამედიცინო შემონმებისა და დახმარების უფლება⁸⁵ - თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვის უფლება (ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება, სასჯელის პერიოდული გადახედვა)⁸⁶ - სასამართლოს მოსმენებისას მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხლების უფლება⁸⁷ - სასამართლო პროცესზე პირადად დასწრების უფლება⁸⁸ - ეფექტური მკურნალობის უფლება⁸⁹ უნდა მოხდეს უნდა მოხდეს ბავშვის მიერ დასახელებული და კომპეტენტური ორგანოს მიერ დადასტურებული ზრდასრული პირის შეტყობინება, როცა: <ul style="list-style-type: none"> - მშობლებთან ან კანონიერ მეურვესთან დაკავშირება არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში - მშობლებთან ან კანონიერ მეურვესთან დაკავშირება შეუძლებელია, ან მისი ვინაობა უცნობია - გარემოებებიდან გამომდინარე, მშობელთან ან კანონიერ 	<p>გამოკითხვა არ მოხდეს მშობლების ან კანონიერი მეურვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:</p> <ul style="list-style-type: none"> - სავარაუდო მოძალადე თავად მშობელი ან კანონიერი მეურვეა; - თუ ბავშვს არ სურს მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხლება; - სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლის ან კანონიერი მეურვის გადაწყვეტილებით არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.⁹²
--	---

⁸² დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(iv)
⁸³ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(v)
⁸⁴ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(i)
⁸⁵ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(ii)
⁸⁶ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(iii)
⁸⁷ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(iv)
⁸⁸ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(v)
⁸⁹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(vi)
⁹² UNODC/UNICEF (2009) მოდელური კანონი მუხლი 20(5)

<p>მეურვესთან დაკავშირებამ, შესაძლოა, სამართლებრივი⁹³ პროცედურები დააზარალოს.</p> <p>როდესაც ბავშვს არავინ დაუსახელებია ან ბავშვის მიერ დასახელებული პიროვნება კომპეტენტურმა ორგანომ შეუფერებლად მიიჩნია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით უნდა მოხდეს სხვა პირის ინფორმირება. ეს პირი, შესაძლოა, იყოს სახელმწიფოს წარმომადგენელი, ბავშვის დაცვაზე ან კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი დანესებულება.⁹⁴</p>	
--	--

გამოკითხვაზე მშობლის დასწრება	
ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>ყოველმა ბავშვმა, რომელიც ექვმიტანილი ან ბრალდებულია სისხლის სამართლის საქმეში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიგოს ამის შესახებ კომპეტენტური და მიუკერძოებელი ორგანოს მხრიდან.</p> <p>პროცედურას ასევე უნდა ესწრებოდნენ მშობლები ან კანონიერი მეურვე, რადგან მათ შეუძლიათ ბავშვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად დაუჭირონ მხარი. მშობელთა დასწრება არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ბავშვის დამცველად ყოფნა ან გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური ჩართვა. გარკვეულ შემთხვევებში, ბავშვის საუკეთესო</p>	<p>სამართლებრივი პროცედურებისას, პროფესიონალებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, ბავშვისათვის ჩვენების მიცემის და კომუნიკაციის გასამარტივებლად. ამ ღონისძიებებს მიეკუთვნება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ადამიანთა მხარდაჭერა, შესაფერისი ოჯახის წევრებისა თუ სხვა პირების დასწრება. - საჭიროებისამებრ, ბავშვის სამართლებრივი ინტერესების დამცველის დანიშვნა⁹⁶

⁹³ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 5(2)
⁹⁴ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 5(2)
⁹⁶ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 25

<p>ინტერესების გათვალისწინებით, ბავშვის და ადვოკატის, თუ სხვა დამხმარის თხოვნის საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება შეზღუდოს ან მთლიანად აღკვეთოს მშობელთა სამართლებრივ პროცედურებზე დასწრება.⁹⁵</p>	
<p>დაკითხულ ბავშვს უნდა შეეძლოს მშობელთა დაკითხვაზე დასწრების მოთხოვნა.⁹⁷</p>	
<p>ბავშვს აქვს უფლება, რომ სასამართლო მოსმენაზე წარსდგეს მშობელთა ან კანონიერი მეურვის თანხლებით.⁹⁸</p>	<p>დაზარალებულ ბავშვს თან უნდა ახლდეს იურიდიული წარმომადგენელი და ბავშვის მიერ არჩეული პირი (თუ გარემოებების გათვალისწინებით საპირისპირო გადანყვეტილება არ იქნა მიღებული)⁹⁹</p> <p>სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციისაგან დაზარალებულ ბავშვს თან ახლდეს სამართლებრივი წარმომადგენელი და ბავშვის მიერ არჩეული შესაფერისი ზრდასრული (თუ გარემოებების გათვალისწინებით ამ პირთან მიმართებაში საპირისპირო¹⁰⁰ გადანყვეტილება არ იქნა მიღებული)</p>
<p>ბავშვს აქვს უფლება, სასამართლო მოსმენის გარდა, სხვა სამართლებრივი პროცედურების დროსაც იყოს მშობელთა, კანონიერი მეურვის ან სხვა ზრდასრულის თანხლებით, თუ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანო მიიჩნევს:</p>	

⁹⁵ UN/CRC/C/GC/#.10, პარაგრაფი 53
⁹⁷ UN/CRC/C/GC/#.10, პარაგრაფი 58
⁹⁸ დიარექტივა 2016/800/EU მუხლი 15(1)
⁹⁹ დიარექტივა 2012/29/EU მუხლი 20
¹⁰⁰ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 35(1)(ვ)

<p>ა) ამ პირის დასწრება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში შედის ბ) ამ პირის თანხლება ხელს არ შეუშლის სამართლებრივი პროცედურების მსვლელობას.¹⁰¹</p>	
<p>კანონიერი წარმომადგენელი ან მოწვევადი პირის, ან კომპეტენტური ორგანოს მიერ დასახელებული ზრდასრული უნდა იმყოფებოდეს პოლიციის განყოფილებასა და სასამართლო მოსმენაზე.¹⁰²</p>	

¹⁰¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 15(4)
¹⁰² რეკომენდაცია 2013/C 378/02 მუხლი 10

4.4. (სხვადასხვა სქესების) ჰომოფობიური დისკრიმინაცია

ბავშვის გამოკითხვაზე დასწრება, გამოკითხვისათვის მომზადება და გამოკითხვის შემდგომ პროცედურებზე დასწრება სხვადასხვა პროფესიონალებს შეუძლიათ. ქვემოთ მოყვანილია სამართლებრივი პირობები ადვოკატებთან, თარჯიმნებთან და სხვა პროფესიონალებთან მიმართებაში.

ადვოკატი	
ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>ნებისმიერ ექვმიტანილ ან ბრალდებულ ბავშვს, საკუთარი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის აქვს სამართლებრივი თუ სხვა შესაფერისი დახმარების მიღების უფლება.¹⁰³</p> <p>ექვმიტანილ და ბრალდებულ ბავშვებს აქვთ ადვოკატის¹⁰⁴ ან სხვა შესაფერისი წარმომადგენლის უფლება.¹⁰⁵</p> <p>კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილებების მიღებას უნდა ესწრებოდეს ადვოკატი ან სხვა წარმომადგენელი. დასწრება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლო პროცესით და უნდა გავრცელდეს პოლიციის მიერ ბავშვის გამოკითხვისას (დაკითხვისას).¹⁰⁶</p>	<p>როდესაც დაზარალებულ ბავშვსა და მშობელს (ან კანონიერ მეურვეს) შორის არის ან შესაძლოა იყოს ინტერესთა კონფლიქტი, ბავშვის სახელით შესაძლოა ადვოკატი წარსდგეს.¹⁰⁷</p> <p>სახელმწიფომ, სისხლის სამართლის პროცესში სტატუსის არსებობის შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის უფასო იურიდიული დახმარება.¹⁰⁸</p>
<p>ბავშვებს ადვოკატთან წვდომა დაკითხვის დაწყებამდე უნდა ჰქონდეთ.¹⁰⁹</p>	

¹⁰³ CRC მუხლი 40(2)(ბ)(ii)

¹⁰⁴ CRC 40(2)(ბ)(iii); დირექტივა 2016/800/EU მუხლი 6(1,2)

¹⁰⁵ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 58

¹⁰⁶ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 52

¹⁰⁷ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 24(1)(გ)

¹⁰⁸ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 31(3)

¹⁰⁹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 6(3)(ა), 4(ა)

<p>ადვოკატის ან სხვა შესაფერისი წარმომადგენლის დასწრება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლო პროცესით და უნდა გავრცელდეს პოლიციის მიერ ბავშვის გამოკითხვისას (დაკითხვისას).¹¹⁰</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატს ჰქონდეს ბავშვის დაკითხვაზე დასწრებისა და ეფექტური მონაწილეობის საშუალება.¹¹¹</p>	
<p>ბავშვის ადვოკატის გარეშე გამოკითხვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; სასამართლომდე. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კომპეტენტურმა ორგანომ; ამგვარი გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს სამართლებრივ განხილვასა და გასაჩივრებას.¹¹²</p>	

თარჯიმანი	
ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>თუ ბავშვს არ ესმის (ან ვერ ლაპარაკობს) ის ენა (ენაზე), რომელზეც სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს,¹¹³ მას უნდა ჰქონდეს თარჯიმანთან წვდომა. თარჯიმანის მონაწილეობა</p>	<p>თუ ბავშვს არ ესმის (ან ვერ ლაპარაკობს) ის ენა (ენაზე), რომელზეც სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს, სახელმწიფომ ის მოთხოვნის საფუძველზე უფასოდ უნდა</p>

¹¹⁰ CRC მუხლი 40(2)(b)(iii); UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფები 52 და 88

¹¹¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 6(4)(ბ)

¹¹² დირექტივა 2016/800/EU მუხლი 6(8)

¹¹³ CRC მუხლი 40 (2)(b)(vi)

<p>არ უნდა იყოს სასამართლო პროცესით შეზღუდული და უნდა ვრცელდებოდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ყოველ ეტაპზე.¹¹⁴</p>	<p>უზრუნველყოს თარჯიმნით. თარჯიმანი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ბავშვის დაკითხვასა და გამოკითხვას, მათ შორის პოლიციასა და სასამართლოზე.¹¹⁵</p>
---	--

სხვა პროფესიონალები	
ექვემიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>სამართლებრივი პროცედურებისას, ბავშვს აქვს უფლება, იყოს თანხლებული მის მიერ დასახელებული და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს დადასტურებული პირის მიერ, როცა:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) მშობლის ან კანონიერი მეურვის დასწრება არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში; ბ) შეუძლებელია მშობელთან ან კანონიერ მეურვესთან დაკავშირება; გ) გარემოებების გათვალისწინებით, მშობლის ან კანონიერი მეურვის დასწრება სამართლებრივი პროცედურებისათვის ხელისშემშლელი იქნება. <p>თუ ბავშვს არ დაუსახელებია შესაფერისი ზრდასრული ან ბავშვის მიერ დასახელებული პირი შესაბამისი უფლებამოსილების ორგანომ შეუფერებლად მიიჩნია, მაშინ კომპეტენტურმა ორგანომ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, თავად უნდა აირჩიოს პირი, რომელიც</p>	<p>გამოძიებისა და სხვა სამართლებრივი პროცედურებისას, თუ: მშობლების ან კანონიერი მეურვის დასწრება ინტერესთა არსებული ან სავარაუდო კონფლიქტის საფუძველზე დაუშვებელია, ან დაზარალებულ ბავშვს არ ახლავს არავინ, ან ბავშვი ოჯახისაგან განცალკევებულია, მაშინ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანომ, სამართლებრივ პროცედურებში დაზარალებულის როლის გათვალისწინებით, უნდა ¹¹⁷ დანიშნოს ბავშვის წარმომადგენელი. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო ორგანოების მიერ მსხვერპლისთვის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა, თუ, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მას შეიძლება ჰქონდეს მხარის სტატუსი სისხლის სამართლებრივ პროცესში და თუ მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირებს ჩამორთმეული აქვთ ასეთ პროცესში ბავშვის წარმომადგენლის უფლება მსხვერპლსა და მათ შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის გამო.¹¹⁸</p>

¹¹⁴ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 62
¹¹⁵ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 15(2)
¹¹⁷ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 24(1)(ბ)
¹¹⁸ ლანსაროტეს კონვენცია 31(4)

<p>სამართლებრივი პროცედურებისას ბავშვის თანმხლები იქნება. არჩეული პირი, შესაძლოა, იყოს სახელმწიფო ორგანოს ან ბავშვის დაცვასა თუ კეთილდღეობაზე მზრუნველი სხვა დანესებულების წარმომადგენელი.¹¹⁶</p>	<p>პროფესიონალებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც ბავშვს ჩვენების მიცემა, კომუნიკაცია და მიმდინარე პროცესების აღქმა გაუმარტივდება. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> - დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მომუშავე ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სპეციალისტები; - დამხმარე ადამიანები, მათ შორის ჩვენების მიცემაზე თანმხლები სპეციალისტები; - საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის სამართლებრივი ინტერესების დამცველის დანიშვნა.¹¹⁹
	<p>როცა, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ბავშვი საჭიროებს დამხმარე ადამიანს, რომელიც მას დაეხმარება, რომ გაიგოს და იყოს გაგებული, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაძლებლობა, ბავშვს თან ახლდეს მის მიერ შერჩეული პირი (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ან სამართლებრივი პროცედურების სათანადო მსვლელობას ეწინააღმდეგება).¹²⁰</p>
	<p>ბავშვთან დაკავშირებული პროცედურებისა და ინტერვენციებისათვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისათვის (ადვოკატები,</p>

¹¹⁶ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 15(2)

¹¹⁹ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 25

¹²⁰ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3(3)

	<p>ფსიქოლოგები, ექიმები, საიმეგრაციო სამსახურის მუშაკები, სოციალური მუშაკები და მედიატორები) საერთო შეფასების ჩარჩო უნდა შემუშავდეს.¹²¹</p> <p>ბავშვები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაცულნი უნდა იყვნენ მათი კეთილდღეობისათვის მავნებელი გამოსახულებებისა და ინფორმაციისაგან პოტენციურად საზიანო ინფორმაციის გამხელისას, მოსამართლემ კონსულტაცია სხვა პროფესიონალებთან უნდა გაიაროს (მაგალითად: ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები).¹²²</p>
--	---

4.5. მოზახეზა და ინფორმირება

გამოკითხვაში მონაწილეობის ეფექტურობის გასაზრდელად, უნდა მოხდეს ბავშვის წინასწარი მომზადება და ინფორმირება გამოკითხვისა და სისხლის სამართლებრივი პროცედურების თაობაზე.

გამოკითხვისათვის მომზადება	
ბავშვის ინდივიდუალური შეფასება რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს	
ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
იმის დადგენისას, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს, იყოს დაკითხული, გათვალისწინებული უნდა იყოს სამედიცინო გამოკვლევის შედეგები. ¹²³	
ნებისმიერ ექვმიტანილ ან ბრალდებულ ბავშვს, საკუთარი	

¹²² სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 17

¹²³ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 8(2)

<p>დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის აქვს იურიდიული თუ სხვა შესაფერისი დახმარების მიღების უფლება.¹²⁴</p> <p>სახელმწიფომ თავად უნდა გადანყვიტოს დახმარების მიწოდების ფორმა, მაგრამ ის უფასო უნდა იყოს.</p> <p>კომიტეტი ნევრ სახელმწიფოებს ურჩევს, რომ უზრუნველყონ რაც შეიძლება მეტი სამართლებრივი მხარდაჭერა (ადვოკატები და სხვა). მისაღებია სხვა პროფესიონალთა დახმარებაც (მაგალითად, სოციალური მუშაკების), მაგრამ მათ უნდა ჰქონდეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი ასპექტების ცოდნა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება/ კვალიფიკაცია.¹²⁵</p> <p>საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) მოითხოვს, რომ ბავშვსა და მის დამცველს დაცვის მოსამზადებლად სათანადო დრო და რესურსები ჰქონდეთ. ბავშვსა და მისი დამხმარეს შორის კომუნიკაცია, წერილობითი იქნება თუ ზეპირი, უნდა წარიმართოს პირობებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება კონფიდენციალურობა (რასაც CRC-ს მუხლი 40(2)(ბ)(vii) მოითხოვს) და ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (CRC მუხლი 16).</p>	
	<p>პროფესიონალები დაზარალებულ და მონმე ბავშვებს სენსიტიურობით უნდა მიუდგნენ. პროფესიონალებმა</p>

¹²⁴ CRC მუხლი 40(2)(ბ)(ii)

¹²⁵ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 49

¹²⁶ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 50

	<p>უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს ესმოდეს მიმდინარე პროცესი და ჰქონდეს რეალისტური მოლოდინები მის განვითარებასთან დაკავშირებით. ბავშვის მოსმენებსა და პროცესში მონაწილეობა უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბავშვსა და პროფესიონალებს შორის ურთიერთობა იყოს თანმიმდევრული.¹²⁷</p>
	<p>პროფესიონალებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაზარალებულ და მონმე ბავშვს ჰქონდეს მართლმსაჯულებაში ჩართვასთან დაკავშირებული შეხედულებების გამოხატვის საშუალება.</p> <p>ბავშვის შეხედულებები მიმდინარე პროცესთან და საკუთარ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო როცა ამის გაკეთება შეუძლებელია, ბავშვმა უნდა იცოდეს მიზეზი.¹²⁸</p>
	<p>სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისათვის, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: მათი და მათი საჭიროებების დაცვა; შეხედულებების გამოხატვის საშუალება; შეხედულებებისა და საჭიროებების გამოხატვის საშუალების (პირდაპირი, შუამავლის მეშვეობით) არჩევის შესაძლებლობა; შესაბამისი სამსახურების მისაწვდომობა.¹²⁹</p>

¹²⁷ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 30
¹²⁸ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 21
¹²⁹ ლანსაროტეს კონვენცია 31(1)(გ)(გ)

ბავშვის ინფორმირება

ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>პირველი შეხება</p> <p>ყოველ ექვმიტანილ და ბრალდებულ ბავშვს, დაუყოვნებლივ და უშუალოდ, როცა ეს მისაღებია, აგრეთვე მშობლების/კანონიერი მეურვის მეშვეობით, უნდა მიენოდოს ინფორმაცია მისთვის ნაყენებული ბრალდების შესახებ.¹³⁰</p> <p>ექვმიტანილობის ან ბრალდებულობის შეტყობინების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ბავშვის ინფორმირება საკუთარი უფლებებისა და სამართლებრივი პროცედურების ზოგადი მსვლელობის თაობაზე. რაც გულისხმობს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მშობლის ან კანონიერი მეურვის ინფორმირების უფლება¹³² - ადვოკატის დახმარების უფლება¹³³ - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება¹³⁴ - მშობლის ან კანონიერი მეურვის თანმხლების უფლება სამართლებრივი პროცედურების განმავლობაში¹³⁵ - იურიდიული დახმარების უფლება¹³⁶ <p>რაც შეიძლება ადრე, უნდა მოხდეს ექვმიტანილი ან ბრალდებული ბავშვის ინფორმირება შემდეგი უფლებების თაობაზე:</p>	<p>პირველი შეხება</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლმა ბავშვებმა იცოდნენ მიმდინარე იურიდიული და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ.¹⁴⁴</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვები, გაითვალისწინონ მათი, როგორც მსხვერპლის საჭიროებები; სამართლებრივი პროცედურებისას უნდა მიანოდონ ინფორმაცია უფლებებისა და მისაწვდომი სერვისების შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვს არ სურს ამგვარი ინფორმაციის მიღება); საქმის განვითარების შესახებ; ნაყენებული ბრალდების შესახებ; ზოგადი საგამოძიებო პროგრესის შესახებ; საქმის გადაწყვეტის შესახებ; ბრალდებულის ან მსჯავრდებულის დროებითი ან საბოლოო გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია უნდა მიენოდოს დაზარალებულსა და ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა მათ, შესაძლოა,</p>

¹³⁰ CRC მუხლი 40(2)(ბ)(ii)
¹³¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)
¹³² დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(i)
¹³³ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(ii)
¹³⁴ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(iii)
¹³⁵ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(ივ)
¹³⁶ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ა)(ვ)
¹⁴⁴ ლანსაროტეს კონვენცია 31(2)

<ul style="list-style-type: none"> - ინდივიდუალური შეფასების¹³⁷ უფლება - სამედიცინო შემონმებისა და დახმარების უფლება¹³⁸ - თავისუფლების აღკვეთის/ შეზღუდვის უფლება (ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება, სასჯელის პერიოდული გადახედვა)¹³⁹ - სასამართლოს მოსმენებისას მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხლების უფლება¹⁴⁰ - სასამართლო პროცესზე პირადად დასწრების უფლება¹⁴¹ - ეფექტური მკურნალობის უფლება¹⁴² <p>უნდა მოხდეს მოწყვლადი პირებისა და თუ აუცილებელია, სამართლებრივი წარმომადგენლის ან სხვა შესაბამისი პირის ინფორმირება ამ რეკომენდაციაში აღწერილი პროცესუალური უფლებების თაობაზე, განსაკუთრებით, სამედიცინო დახმარების უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული უფლებები.¹⁴³</p>	<p>საფრთხე ემუქრებოდათ.¹⁴⁵</p> <p>მართლმსაჯულებასთან პირველი შეხებისას დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს დაუყოვნებლივ უნდა მიენოლოთ ინფორმაცია.</p> <ul style="list-style-type: none"> - არსებული სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა სერვისების შესახებ; აგრეთვე, გარემოებების გათვალისწინებით, სამართლებრივი და სხვა წარმომადგენლის, კომპენსაციის და გადაუდებელი ფინანსური დახმარების თაობაზე; - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მსვლელობის შესახებ; სამართლებრივ პროცედურებში დაზარალებული და მოწმე ბავშვის როლის შესახებ; ჩვენების მიცემის დროსა და მნიშვნელობაზე, აგრეთვე გამოძიებისა და სასამართლო პროცესისას მათი „დაკითხვის“ ფორმაზე; - საჩივრის შეტანისა და სხვა სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობისას ბავშვის მხარდამჭერი არსებული მექანიზმების შესახებ; - მოსმენებისა და სხვა პროცედურების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ; - ხელმისაწვდომი დაცვითი ღონისძიებების შესახებ; - დაზარალებული და მოწმე ბავშვისათვის მნიშვნელოვანი გადანაცვლებების შესახებ;
---	---

¹³⁷ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(i)
¹³⁸ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(ii)
¹³⁹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(iii)
¹⁴⁰ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(ივ)
¹⁴¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(ვ)
¹⁴² დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(ბ)(ვი)
¹⁴³ რეკომენდაცია 2013/C 378/02 მუხლი 9
¹⁴⁵ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 31(1)(ა)(ბ)

	<ul style="list-style-type: none"> - დაზარალებული და მონმე ბავშვების უფლებების შესახებ (ბავშვის უფლებათა კონვენცია და მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები დანაშაულის მსხვერპლთათვის და ძალაუფლების ბოროტად ¹⁴⁶ გამოყენების შესახებ დეკლარაცია) - რამდენადაც ეს შესაძლებელია: <ul style="list-style-type: none"> ა) საქმის განვითარების, მათ შორის, სავარაუდო მოძალადის დაკავებისა და ბრალეულობის შესახებ; სასამართლოზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და მნიშვნელობის შესახებ; ბ) ზარალის ანაზღაურების შესახებ (მოძალადის ან სახელმწიფოს მხრიდან, მართლმსაჯულების, ალტერნატიული სამოქალაქო პროცედურების თუ სხვა ¹⁴⁷ პროცედურების გავლით) <p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს რაც შეიძლება მცირე დროში, უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე მიენოდოს ინფორმაცია</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ხელმისაწვდომი დახმარების შესახებ - ვისგან რა ტიპის დახმარების მიღებაა შესაძლებელი, ზოგადი ინფორმაცია სამედიცინო თუ სხვა დახმარების (ფსიქოლოგიური თუ სხვა) შესახებ; ბ) საჩივრის შეტანის მექანიზმების შესახებ; სამართლებრივი პროცედურებისა და მათში ბავშვის მონაწილეობის შესახებ; გ) დაცვითი ღონისძიებების მიღების პირობების შესახებ;
--	---

¹⁴⁶ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 19
¹⁴⁷ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 20

	<p>დ) სამართლებრივი თუ სხვა მსგავსი დახმარების მიღების პირობების შესახებ;</p> <p>ე) კომპენსაციის მიღების პირობების შესახებ;</p> <p>ვ) თარჯიმნის მომსახურების მიღების პირობების შესახებ</p> <p>ზ) დანაშაულის ჩადენის ადგილისაგან განსხვავებულ ნევრ სახელმწიფოში ცხოვრების შემთხვევაში, ნევრ სახელმწიფოში არსებული მათი ინტერესების დამცველი მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ;</p> <p>თ) სამართლებრივი პროცედურებისას, ძალაუფლების მქონე პირთა მხრიდან მისი უფლებათა უპატივცემულობის გასაჩივრების მექანიზმების შესახებ;</p> <p>ი) მათ საქმესთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ;</p> <p>კ) აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ</p> <p>ლ) სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობით გაღებული ხარჯების ანაზღაურების მიღების პირობების შესახებ.¹⁴⁸</p> <p>დაზარალებულ ბავშვებს აქვთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია საქმის მსვლელობის თაობაზე, მათ შორის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის შეწყვეტა;
--	---

¹⁴⁸ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3(2)

	<ul style="list-style-type: none"> - სასამართლო პროცესის გამართვის დრო და ადგილი; მოძალადისთვის წაყენებული ბრალდება; - განაჩენი; - სამართლებრივი პროცედურების მსვლელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის გაკეთება სამართლებრივი პროცედურისათვის ზიანის მომტანი შეიძლება იყოს - ბრალდებული ან მსჯავრდებულის პატიმრობის შეწყვეტა (გათავისუფლება, გაქცევა) (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს მოძალადეს). ამას გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულმა მიიღოს ინფორმაცია მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გატარებული ზომების თაობაზე.¹⁴⁹
<p>თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ბავშვის ინფორმირება თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული უფლებების თაობაზე.¹⁵⁰</p>	
<p>ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წერილობით, ზეპირად ან ორივენაირად, რაც შეიძლება მარტივი და გასაგები ენით. ჩანერასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს მიწოდებული ინფორმაციის ჩანერა/ჩანიშვნა.¹⁵¹</p>	<p>ნებისმიერი ინტერაქცია უნდა შედგეს იმ ენაზე, რომელიც ბავშვს ესმის და იყენებს.¹⁵²</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ბავშვს ესმოდეს სისხლის</p>

¹⁴⁹ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3(2)
¹⁵⁰ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(1)(გ)
¹⁵¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 4(2)
¹⁵² ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 14

	<p>სამართლებრივი პროცედურების ფარგლებში განხორციელებული ინტერაქციის მნიშვნელობა. ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვთა ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაცია ხდებოდეს მარტივი და გასაგები ენით. ამ კომუნიკაციების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებულის მახასიათებლები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობები, რომელიც, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის უნარზე, გაიგოს ან იყოს გაგებული.¹⁵³</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვს ინფორმაცია მიენოძება მისი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, იმ ენაზე, რომელიც მას ესმის.¹⁵⁴</p>
--	---

4.6. ბაშოქოთხვის მეთოდი, ბაქაშო და ჰვანიფიხასია

ამ ნაწილში განხილულია ბავშვზე მორგებულ გამოკითხვასთან, გარემოსთან და პროცესში ჩართულ პროფესიონალთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებები.

<p>გამოკითხვის მეთოდი</p> <p>სასურველია, რომ სახელმწიფოებმა ხელი შეუწყონ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ასპექტების, მათ შორის, ბავშვის გამოკითხვის სენსიტიური მეთოდების კვლევას, გაავრცელონ ინფორმაცია და დაწერონ ეს მეთოდები.¹⁵⁵</p>

¹⁵³ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3

¹⁵⁴ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 31(6)

¹⁵⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე. V(ა), გვ. 33

ბავშვების გამოკითხვის სანდოობის გასაზრდელად, უნდა შემუშავდეს გამოკითხვის პროტოკოლები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვის განვითარების სხვადასხვა დონე. იმისათვის, რომ გამოკითხვის სანდოობა გაიზარდოს, მიმანიშნებელი კითხვები არ უნდა იყოს გამოყენებული.

ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევად, სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტი არის ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი (CRC მუხლი 12). ბავშვს აქვს უფლება, იყოს გაგებულნი, ეს მის საუკეთესო ინტერესებში შედის, უშუალოდ, შუამავლის, წარმომადგენლისა და შესაბამისი დანესებულების გარეშე. ეს უფლება დაცული უნდა იყოს მართლმსაჯულების განხორციელების ყოველ ეტაპზე; წინასასამართლო ეტაპზე ბავშვს აქვს დუმილის უფლება, მაგრამ ასევე აქვს უფლება, იყოს გაგებულნი პოლიციის, პროკურორის და მოსამართლის მიერ.¹⁵⁶</p>	<p>პროფესიონალებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაზარალებულ და მონმე ბავშვებს ჰქონდეთ მართლმსაჯულების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და დამოკიდებულების გამოსატვის საშუალება, რაც მოიცავს ბავშვის მიერ მართლმსაჯულების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად და მისებურად გამოხატვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას, ჩვენების მიცემის გზის არჩევის შესაძლებლობას და პროცესის შედეგების შესახებ შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას.¹⁵⁷</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულებს ჰქონდეთ სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. დაზარალებული ბავშვის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სიმწიფე.¹⁵⁸</p> <p>სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მისცენ ჩვენება,</p>

¹⁵⁶ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 44
¹⁵⁷ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 21 (ბ)
¹⁵⁸ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 10(1)

	<p>წარმოადგინონ მტკიცებულებები და აირჩიონ თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის ფორმა, პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით.¹⁵⁹</p> <p>მოდელურ კანონში ნათქვამია, რომ სასურველია, არსებობდეს კანონი, რომელშიც ნათქვამი იქნება: მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას,¹⁶⁰ დაზარალებულ და მონმე ბავშვს აქვს უფლება, თავისი სიტყვებით, ცენზურის გარეშე გამოხატოს საკუთარი შეხედულებები, მოსაზრებები და დამოკიდებულებები; აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებსაც მის ცხოვრებაზე ექნება გავლენა.</p>
<p>არცერთი ბავშვი, რომელმაც, როგორც ითვლება, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ბრალად ედება მისი დარღვევა, არ უნდა იყოს იძულებული, მისცეს ჩვენება ან აღიაროს საკუთარი ბრალეულობა.¹⁶¹</p> <ul style="list-style-type: none"> - არსებობს აღიარებისა და ჩვენების მიღების ნაკლებ-ძალადობრივი მეთოდებიც. „იძულება“ გამოყენებულია ფართო გაგებით და არ შემოისაზღვრება ფიზიკური ძალის გამოყენებითა და ადამიანის უფლებათა სხვა აშკარა დარღვევებით. ბავშვის აღიარების სიმცდარის მიზეზი შესაძლოა იყოს: მისი ასაკი, განვითარების დონე, დაკითხვის ხანგრძლივობა, გაურკვეველობა, უცნობი მოსალოდნელი შედეგები ან მინიშნებები ციხეში ჩასმაზე. 	<p>პროფესიონალები დაზარალებულ და მონმე ბავშვებს სენსიტიურობით უნდა მიუდგნენ: პროცედურები მოარგონ ბავშვს, რაც გულისხმობს სპეციალურად ბავშვებისათვის მონყობილ გამოკითხვის ოთახს, დაზარალებული ბავშვებისათვის განკუთვნილ ერთ სივრცეში არსებულ ინტერდისციპლინარულ სერვისებს, მონმე ბავშვებზე მორგებულ სასამართლო გარემოს, ჩვენების მიცემისას შესვენებას, სასამართლო მოსმენების ბავშვის ასაკზე მორგებული დროს დანიშვნას, შეტყობინების გამართულ სისტემას (რათა ბავშვი სასამართლოზე მხოლოდ მაშინ მივიდეს, როცა ეს აუცილებელია) და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ბავშვს ჩვენების მიცემაში დაეხმარება.¹⁶⁴</p>

¹⁵⁹ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 31(1)(გ)

¹⁶⁰ მოდელური კანონი UNODC/UNICEF მუხლი 2 (6)

¹⁶¹ მოდელური კანონი UNODC/UNICEF (2009) მუხლი 2 (6)

¹⁶⁴ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 40

<p>ამის ალბათობა იზრდება, როცა ბავშვს სანაცვლოდ სასჯელის შემსუბუქებას ან გათავისუფლებას ჰპირდებიან („როგორც კი სიმართლეს გვეტყვი, სახლში წასვლა შეგეძლება“)¹⁶²</p> <p>- მტკიცებულების ნებაყოფლობასა და სანდოობაში დასარწმუნებლად, უნდა მოხდეს გამოკითხვისას გამოყენებული მეთოდების ზედმინევენით გადახედვა. ჩვენების ან აღიარების ნებაყოფლობისა და სანდოობის განხილვისას, სასამართლომ ან სხვა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი, პატიმრობისა და გამოკითხვის ხანგრძლივობა და ადვოკატის, მშობლების ან დამოუკიდებელი წარმომადგენლის გამოკითხვაზე დასწრება-არდასწრება. უნდა მოხდეს პოლიციელების და სხვა გამომძიებლების გადამზადება, რათა მათ არ გამოიყენონ არასანდო და ძალდატანებული ჩვენებებისა და აღიარებების გამომწვევი გამოკითხვის მეთოდები.¹⁶³</p>	<p>ბავშვთან ნებისმიერი ინტერაქცია, მათ შორის, გამოკითხვაც, უნდა წარიმართოს იმ ენაზე, რომელსაც ბავშვი იყენებს და რომელიც ესმის.¹⁶⁵</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულებთან კომუნიკაცია ხდებოდეს მარტივი და გასაგები ენით. კომუნიკაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებულის მახასიათებლები, მათ შორის, ნებისმიერი უნარშეზღუდულობა, რომელიც, შესაძლოა, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის უნარზე, გაიგოს ან იყოს გაგებელი.¹⁶⁶</p> <p>სახელმწიფოებმა, ჩვენების სანდოობის გასაზრდელად და ბავშვის ტრავმირების რისკის შესამცირებლად, უნდა უზრუნველყონ დაზარალებული და მოწმე ბავშვების მათზე მორგებული მეთოდებით გამოკითხვა. ნებადართული უნდა იყოს გამოკითხვაზე დამკვირვებლის (სუპერვაიზორის) დასწრების საშუალება; მაგალითად, სპეციალური დამხმარე (ჩვენების დამხმარე) და ექსპერტ-ფსიქოლოგი.¹⁶⁷</p>
<p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყოველ ბავშვს, რომელიც მიჩნეულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად ან ბრალად ედება მისი დარღვევა, ჰქონდეს ბრალდების მოწმეთა ჩვენების, დამოუკიდებლად ან სხვა პირთა დახმარებით</p>	

¹⁶² UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 57

¹⁶³ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 58

¹⁶⁵ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 14

¹⁶⁶ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 3(2)

¹⁶⁷ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 31(გ)

<p>შესწავლისა და დაცვის მონმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და შესწავლის შესაძლებლობა.¹⁶⁸</p> <p>ჩვენების ან აღიარების ნებაყოფლობისა და სანდოობის განხილვისას, სასამართლომ ან სხვა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი, პატიმრობისა და გამოკითხვის ხანგრძლივობა და ადვოკატის, მშობლების, ან დამოუკიდებელი წარმომადგენლის გამოკითხვაზე დასწრება-არდასწრება.¹⁶⁹</p>	
---	--

გამოკითხვის გარემო/მოთხოვნები	
<p>ასაკი და ბავშვის შესაძლებლობები</p> <p>ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბავშვი გამოიკითხოს შესაფერის გარემოსა და მოსახერხებელ პირობებში, ასაკის, სიმწიფის და კოგნიტიური შესაძლებლობებისა და პოტენციური სირთულეების გათვალისწინებით.¹⁷⁰</p> <p>დაზარალებული ბავშვის მოსმენისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სიმწიფე.¹⁷¹</p>	
<p>ინტერაქცია პატივისცემითა და ღირსებით</p> <p>ბავშვების გამოკითხვისას, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, აგრეთვე სხვა ინტერვენციებისას, მოსამართლეები და სხვა პროფესიონალები ბავშვებს პატივისცემითა და სენსიტიურობით უნდა მოეკიდონ.¹⁷²</p> <p>დაზარალებული და მონმე ბავშვების მიმართ მოპყრობა უნდა იყოს სენსიტიური, არ ლახავდეს ბავშვის ღირსებას და ითვალისწინებდეს ბავშვის პიროვნულ მდგომარეობას, გადაუდებელ საჭიროებებს, ასაკს, სქესს, უნარშეზღუდულობას და განვითარების დონეს.¹⁷³</p>	

¹⁶⁸ CRC მუხლი 40 (2)(b)(iv)
¹⁶⁹ UN/CRC/C/GC/#10 პარაგრაფი 58
¹⁷⁰ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 64
¹⁷¹ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 10
¹⁷² ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 57
¹⁷³ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 10

ჩატარებულ გამოკითხვათა რაოდენობის შემცირება

ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში: გამოკითხვათა რაოდენობა უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე, ხოლო ხანგრძლივობა მორგებული უნდა იყოს ბავშვის ასაკზე და მის უნარზე, მოახდინოს ყურადღების კონცენტრირება.

დაზარალებული/მონმე ბავშვების შემთხვევაში, განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული, რათა ჩატარებული გამოკითხვების, განცხადებების, მოსმენების და მართლმსაჯულების პროცესთან არააუცილებელი შეხების რაოდენობა, რაც შეიძლება მცირე იყოს, მაგალითად, როგორცაა ვიდეო ჩანაწერის გამოყენება.¹⁷⁴

დაზარალებული ბავშვების გამოკითხვათა რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური; ბავშვი უნდა გამოიკითხოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ამის გაკეთება გამოძიებისთვის აუცილებელია.¹⁷⁵

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვათა რაოდენობა იყოს რაც შეიძლება მცირე და მკაცრად განპირობებული სისხლის სამართლებრივი პროცესის აუცილებლობით.¹⁷⁶

განმეორებითი გამოკითხვების ერთი და იგივე ადამიანის მიერ ჩატარება

როდესაც აუცილებელია ბავშვის რამოდენიმეჯერ გამოკითხვა, სასურველია, რომ გამოკითხვა იმავე პირმა ჩაატაროს, რათა ერთგვაროვანი მიდგომა იყოს გამოყენებული და დაცული იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესები.¹⁷⁷

მთელი სისხლის სამართლებრივი პროცესის განმავლობაში, თუ ეს მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებას არ უშლის ხელს, გამოკითხვები ერთმა და იმავე ადამიანებმა უნდა ჩაატარონ.¹⁷⁸

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რომ, თუ ეს შესაძლებელია, სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა გამოკითხვა ჩაატაროს ერთმა და იმავე პირმა.¹⁷⁹

აუდიო-ვიზუალური ჩანერა

გამოკითხვის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის გამოყენება დაშვებული უნდა იყოს და ამგვარი ჩანაწერები დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული.¹⁸⁰

¹⁷⁴ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 31(ა)

¹⁷⁵ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 20(ბ); ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 31; ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 31; სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 67; დირექტივა 2011/93/EU მუხლი 20

¹⁷⁶ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 35(1)(ე)

¹⁷⁷ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 66

¹⁷⁸ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 23(2)(გ); ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 35, სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 66; დირექტივა 2011/93/EU მუხლი 20

¹⁷⁹ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 35(1)(დ)

¹⁸⁰ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 59

ექვემოტანილ ან ბრალდებულ მონაცვლად პირებს ყოველთვის არ ესმით პოლიციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვათა შინაარსი. გამოკითხვის შინაარსზე დავის და შესაბამისად, განმეორებითი გამოკითხვის ჩატარების თავიდან ასაცილებლად, უნდა მოხდეს ამგვარი გამოკითხვების აუდიო-ვიდეო ჩანერა.¹⁸¹

ექვემოტანილი ან ბრალდებული ბავშვების გამოკითხვა, პოლიციის მხრიდან უნდა მოხდეს მაშინ, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ამის გაკეთება დასაშვებია; გათვალისწინებული უნდა იყოს ადვოკატის დასწრება-არდასწრების საკითხი, ბავშვის თავისუფლების აღკვეთის ან არაღკვეთის საკითხი; ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს პრიორიტეტული. იმ შემთხვევებში, როცა არ ხდება გამოკითხვის აუდიო-ვიზუალური ჩანერა, უნდა მოხდეს მისი სხვა ფორმით ჩანერა, როგორც არის სათანადოდ დამონმებული წერილობითი ჩანანერი.¹⁸²

ნახალისებული უნდა იქნას დაზარალებული და მონმე ბავშვების ჩვენებების აუდიო-ვიზუალური ჩანანერების წარმოება, რაც, იმავდროულად, სხვა მხარეების მიერ ასეთი ჩვენებების შინაარსის გასაჩივრების უფლების შეუზღუდავად უნდა განხორციელდეს.¹⁸³

სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას, უნდა მოხდეს მსხვერპლ ბავშვთა გამოკითხვების აუდიო-ვიდეო ჩანერა და ამგვარი ჩანანერები მტკიცებულებად უნდა იქნეს გამოყენებული.¹⁸⁴

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან ან ბავშვ მონმესთან ჩატარებული ყველა გამოკითხვა იქნეს ჩანერილი ვიდეოფირზე და სასამართლოზე ეს ვიდეოფირები მიღებულ იქნეს მტკიცებულების სახით, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.¹⁸⁵

შესაფერისი გარემო

რამდენადაც ეს შესაძლებელია, გამოკითხვისა და მოსაცდელ ოთახებში ბავშვზე მორგებული გარემო უნდა შეიქმნას.¹⁸⁶

დაზარალებულ და მონმე ბავშვებთან ნებისმიერი ინტერაქცია, მათ შორის გამოკითხვაც, უნდა შედგეს შესაფერისი გარემოში, რომელიც მორგებული ბავშვის საჭიროებებზე და ითვალისწინებს ბავშვის შესაძლებლობებს, ასაკსა და ინტელექტუალურ სიმნიფეს.¹⁸⁷

¹⁸¹ რეკომენდაცია 2013/C 378/02 მუხლი 13 და პარაგრაფი 13

¹⁸² დირექტია 2016/800/EU მუხლი 9

¹⁸³ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 65

¹⁸⁴ დირექტია 2012/29/EU მუხლი 24(1)(ა); ECOSOC/RES/1997/30 მუხლი 50; სახელმძღვანელო მითითებების ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 9

¹⁸⁵ ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 35(2)

¹⁸⁶ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 62

¹⁸⁷ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 20

განხილული უნდა იქნას მონმე ან დაზარალებული ბავშვებისგან ჩვენებების ჩამორთმევისთვის ბავშვზე მორგებული დანესებულებებისა და გარემოს შექმნის მიზანშეწონილობა.¹⁸⁸

პროფესიონალები დაზარალებულ და მონმე ბავშვებს სენსიტიურობით უნდა მიუდგნენ: პროცედურები მოარგონ ბავშვს, რაც გულისხმობს სპეციალურად ბავშვებისათვის მოწყობილ გამოკითხვის ოთახს, დაზარალებული ბავშვებისათვის განკუთვნილ ერთ სივრცეში არსებულ ინტერდისპლინარულ სერვისებს, მონმე ბავშვებზე მორგებულ სასამართლო გარემოს(?), ჩვენების მიცემისას შესვენებას, სასამართლო მოსმენების ბავშვის ასაკზე მორგებულ დროს დანიშვნას, შეტყობინების გამართულ სისტემას (რათა ბავშვი სასამართლოზე მხოლოდ მაშინ მივიდეს, როცა ეს აუცილებელია) და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ბავშვს ჩვენების მიცემაში დაეხმარება.¹⁸⁹

დაზარალებული ბავშვის გამოკითხვა უნდა მოხდეს სწორედ ამ მიზნისთვის შექმნილ ან მოწყობილ ადგილას.¹⁹⁰

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვები ჩატარდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ან მოწყობილ გარემოში.¹⁹¹

ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
	<p>მოძალადესთან პირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილება დაზარალებულ და მონმე ბავშვსა და სავარაუდო მოძალადეს შორის ნებისმიერი პირდაპირი კონტაქტი თუ კონფრონტაცია, რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის გაკეთებას ბავშვი მოითხოვს. სისხლის</p>

¹⁸⁸ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 74

¹⁸⁹ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 30(დ)

¹⁹⁰ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 23; ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 35; სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე მუხლი 62 და მუხლი 74; დირექტივა 2011/93/EU მუხლი 20; ECOSOC/RES/1997/30 მუხლი 30

¹⁹¹ ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 35(1)(ბ)

	<p>სამართლის საქმეებში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, წარადგინონ მტკიცებულებები სავარაუდო მოძალადის დასწრების გარეშე.¹⁹²</p> <p>მონმე და დაზარალებული ბავშვის უფლებების დასაცავად, თუ ამის საშუალებას ეროვნული კანონმდებლობა იძლევა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული სავარაუდო მოძალადესთან ბავშვის ჯვარედინი დაკითხვა. დაზარალებული და მონმე ბავშვების სასამართლოში დაკითხვა და გამოკვლევა უნდა მოხდეს სავარაუდო მოძალადის დასწრების გარეშე; უნდა არსებობდეს განცალკევებული მოსაცდელი და გამოკითხვის ოთახები.¹⁹³</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვები; თავიდან უნდა იქნეს აცილებული, როგორც სასამართლოში, ისე სამართალდამცავ ორგანოებში მსხვერპლსა და დანაშაულის ჩამდენ პირებს შორის კონტაქტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპეტენტური ორგანოები, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვაგვარ გადანყვეტილებას იღებენ, ან როცა გამოძიების ან სასამართლო პროცესი საჭიროებს ამგვარ კონტაქტს.¹⁹⁴</p>
	<p>გაუმართლებელი გაჭიანურება</p> <p>მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანოები მიიღებენ საჩივარს სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით, დაზარალებული გამოკითხვა უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად - გაუმართლებელი დახანების გარეშე.¹⁹⁵</p>

¹⁹² დირექტივა 2012/29/EU მუხლი 18; ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 29

¹⁹³ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 31(ბ)

¹⁹⁴ ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 31(ზ)

¹⁹⁵ დირექტივა 2012/29/EU მუხლი 20(ა); ლანსაროტეს კონვენცია მუხლი 35(1)(ა); დირექტივა 2011/93/EU მუხლი 20 (3)(ა)

	<p>იმავე სქესის გამომკითხველი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოკითხვას ატარებს პროკურორი ან მოსამართლე, სექსუალური, გენდერული და ახლობელი ადამიანის მიერ ჩადენილი ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვა, სასურველია, იმავე სქესის ადამიანმა ჩაატაროს, თუ მსხვერპლს ასე სურს და ამის გაკეთება ხელს არ შეუშლის სისხლის სამართლებრივი პროცედურების მსვლელობას.¹⁹⁶</p>
	<p>არააუცილებელი გამოკითხვის თავიდან აცილება სასამართლო პროცედურებისას თავიდან უნდა იყოს აცილებული გამოკითხვები, რომლებიც არ უკავშირდება ჩადენილ დანაშაულს.¹⁹⁷</p>

კვალიფიკაცია	
<p>სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომა, რათა იმ ადამიანებს, რომლებსაც ბავშვებთან რეგულარული შეხება აქვთ (ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, მართლმსაჯულების და სამართალდამცავ სექტორებში მომუშავე ადამიანები, აგრეთვე ისინიც, ვინც სპორტთან, კულტურასთან და სხვა მსგავს აქტივობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ), აუმაღლდეთ ცნობიერება ბავშვის დაცვის და უფლებების შესახებ. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ამ ადამიანებს ჰქონდეთ ცოდნა ბავშვებში სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობისა და ეჭვების შეტყობინების შესახებ.¹⁹⁸</p> <p>უნდა მოხდეს ბავშვებთან ან ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალების ცოდნის ამაღლება ინტერდისციპლინარული სწავლების მეთოდებით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ბავშვის უფლებები, ბავშვის</p>	

¹⁹⁶ დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(2)(დ)
¹⁹⁷ დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23(2)(გ)
¹⁹⁸ ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 5

საჭიროებები ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით, ბავშვზე მორგებული პროცედურები. ბავშვებთან უშუალოდ მომუშავე პროფესიონალებმა ასევე უნდა მიიღონ განათლება სხვადასხვა ასაკის, განვითარების დონისა და მოწყვლადობის მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის შესახებ.¹⁹⁹

რამდენადაც ეს შესაძლებელია, ბავშვების გამოკითხვა და მათგან ჩვენების ჩამორთმევა უნდა განახორციელოს ამ საკითხებში განსწავლულმა პროფესიონალმა.²⁰⁰

ექვმიტანილი ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>სამართლდამცავ ორგანოებში არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებმა ბავშვებთან მათი კონტაქტის დონის მიხედვით უნდა მიიღონ სწავლება ბავშვის უფლებების, გამოკითხვის მეთოდების, ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ბავშვისთვის გასაგებ ენაზე კომუნიკაციის თაობაზე.²⁰¹</p> <p>სამართლდამცავ და მართლმსაჯულების სისტემებში მომუშავე იმ პირებმა, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც მოწყვლად პირებს შეეხება, უნდა მიიღონ სპეციალიზებული განათლება.²⁰²</p> <p>პოლიციელებმა და საგამოძიებო პროცესის წარმმართველმა სხვა პირებმა უნდა მიიღონ სწავლება გამოკითხვის იმ მეთოდების თავიდან აცილების შესახებ, რომლებიც ინვესტ ქალდატანებულ და არასანდო აღიარებებს და ჩვენებებს.²⁰³</p> <p>ვინაიდან ბავშვის და ზრდასრულის ლინგვისტური აღქმა ერთმანეთისგან</p>	<p>პროფესიონალებმა უნდა მიიღონ სწავლება დაზარალებული და მონმე ბავშვების საჭიროებების და მათი გათვალისწინების საკითხებში.²⁰⁷ რაც გულისხმობს: ა) ადამიანის უფლებათა სტანდარტები და პრინციპები, მათ შორის, ბავშვის უფლებებიც; ბ) მათი სამუშაოს პრინციპები და ეთიკური მოვალეობები; გ) ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ნიშნები; დ) კრიზისის შეფასების უნარები და მეთოდები, განსაკუთრებით, რეფერირება კონფიდენციალურობის დაცვით; ე) ბავშვის მიმართ განხორციელებული დანაშაულის გავლენა, შედეგები (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი); ვ) მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში დაზარალებულ და მონმე ბავშვთა დახმარების ღონისძიებები და მეთოდები; ზ) კროსკულტურული და ასაკთან დაკავშირებული ლინგვისტური,</p>

¹⁹⁹ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლები 14 და 15
²⁰⁰ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, მუხლი 64
²⁰¹ დირექტივა 2016/800/EU მუხლი 20(1)
²⁰² რეკომენდაცია 2013/C 378/02, მუხლი 17
²⁰³ UN/CRC/C/GC/#10, პარაგრაფი 58
²⁰⁷ ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 40

<p>განსხვავდება, თარჯიმანმა უნდა მიიღოს სწავლება ბავშვებთან მუშაობის თავისებურებების შესახებ. თარჯიმნის ცოდნის ან გამოცდილების ნაკლებობამ, შესაძლოა, ბავშვს ხელი შეუშალოს კითხვების სწორად გაგებაში, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლო პროცესისა და ეფექტური მონაწილეობის უფლების განხორციელებაზე ცუდად იმოქმედებს.²⁰⁴</p> <p>იმ მოსამართლეებს და პროკურორებს, რომლებიც წარმართავენ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებს, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენცია ან წვდომა შესაბამისი საკითხების თაობაზე სწავლებასთან, ან ორივე.²⁰⁵</p> <p>ასევე, ნახალისებული უნდა იყოს ბავშვებთან მომუშავე ადვოკატების გადამზადება შესაბამის საკითხებში.²⁰⁶</p>	<p>რელიგიური, სოციალური და გენდერული საკითხები;</p> <p>თ) ზრდასრულისა და ბავშვის კომუნიკაციის თავისებურებები;</p> <p>ი) ბავშვის გამოკითხვისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის დახმარებითაც ხდება ტრავმის მინიმალიზება და მიღებული ინფორმაციის ხარისხის მაქსიმალიზაცია;</p> <p>კ) დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან სენსიტიური, გამგები, კონსტრუქციული და გამამხნეველი ურთიერთობის უნარები; ლ) დაზარალებული ბავშვებისათვის მტკიცებულების დაცვისა და წარდგენის, აგრეთვე ბავშვის გამოკითხვის მეთოდოლოგია;</p> <p>მ) დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა როლები და მეთოდოლოგია.²⁰⁸</p> <p>იმავე საკითხების შესახებ არის საუბარი მოდელურ კანონში უფრო სიღრმისეულად, საუბარია სამი საკითხის თაობაზე:</p> <p>ზ) კროსკულტურული და ასაკთან დაკავშირებული ლინგვისტური, რელიგიური, სოციალური და გენდერული საკითხები;</p> <p><i>განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ბავშვებს;</i></p> <p>ი) ბავშვის გამოკითხვისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის დახმარებითაც ხდება ტრავმის მინიმალიზება და მიღებული ინფორმაციის ხარისხის მაქსიმალიზაცია. რაც გულისხმობს</p>
--	--

²⁰⁴ UN/CRC/C/GC/#10, პარაგრაფი 62
²⁰⁵ დირექტივა 2016/800/EU, მუხლი 20(2)
²⁰⁶ დირექტივა 2016/800/EU, მუხლი 20(3)
²⁰⁸ ECOSOC/RES/2005/20, მუხლი 42

	<p>ბავშვებთან სენსიტიური, გამგები, კონსტრუქციული და გამამხნეველი ურთიერთობის უნარებსაც;²⁰⁹</p> <p>დაზარალებული და მონმე ბავშვების გამოკვლევები უნდა განახორციელონ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებმა, სენსიტიურად, პატივისცემითა და ზედმინევენით.²¹⁰</p> <p>უნდა არსებობდეს საშუალება, რომ დაზარალებულ ბავშვთა გამოკითხვა მოხდეს, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მიერ ან დახმარებით.²¹¹</p> <p>სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა გამოკითხვა განახორციელონ სწორედ ამ კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებმა.²¹²</p>
--	--

4.7. ჰიჩაი სმოვიჩა

ამ ნაწილში განხილულია სისხლის სამართლებრივი პროცედურების ფარგლებში გამოკითხულ ეჭვიმტანილ და მონმე ბავშვთა პირადი ცხოვრების დაცვის (CRC მუხლი 16) მნიშვნელოვანი საკითხები.

<p>გამოკითხვისათვის მომზადება</p>
<p>არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის სუბიექტი. ბავშვს აქვს უფლება, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.²¹³</p>

²⁰⁹ მოდელური კანონი, მუხლი 8(2)(გ)(i)

²¹⁰ ECOSOC/RES/2005/20 მუხლი 13

²¹¹ დირექტივა 2012/29/EU, მუხლი 23 (2) (ბ); სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე. მუხლი 64

²¹² ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 35 (1)(გ)

²¹³ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 16

ექვიტანული ბავშვები	მონმე/დაზარალებული ბავშვები
<p>სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლებრივი პროცედურების ყოველ ეტაპზე მოხდება იმ ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემა;²¹⁴ რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალად ედება მისი დარღვევა.</p> <p>არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა პირადი საქმეები (დოსიეები) უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული იყოს მესამე მხარეებისათვის. მასალების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომელთაც პირდაპირ ეხებათ საქმის გამოძიება და გადანყვეტა. სტიგმატიზაციისა და წინასწარი განსჯის თავიდან ასაცილებლად, არ უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა პირადი საქმეების შემდგომში სრულწლოვანთა საქმეების განხილვისას გამოყენება (იხილეთ პეკინის წესები, წესები 21.1 და 21.2), მაგალითად, შემდგომი სასჯელის დამძიმების მიზნით.²¹⁵</p>	
<p>საჯაროობის დაუშვებლობა პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ საქმეების განხილვა, რომლებშიც ბავშვები მონაწილეობენ, მოხდეს დახურულ სხდომაზე ან უზრუნველყოფილი</p>	<p>საჯაროობის დაუშვებლობა დაზარალებული და მონმე ბავშვის იდენტობისა და პირადი ცხოვრების დასაცავად, შესაბამისი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული, მაგალითად, ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის დროს სასამართლო პროცესზე</p>

²¹⁴ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40 (2)(b)(vii)
²¹⁵ UN/CRC/C/GC/#10, პარაგრაფი 66

იყოს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს ამგვარი მოსმენის დანიშვნის უფლებამოსილება.²¹⁶

რეკომენდირებულია, რომ არსებობდეს წესი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სასამართლო განხილვების დახურულ კარს მიღმა ჩატარებას განსაზღვრავს. წესის გამონაკლისი შემთხვევები კანონით ზუსტად უნდა იყოს დადგენილი. გამოტანილი განაჩენის გასაჯაროება უნდა მოხდეს ბავშვის იდენტობის გამხელის გარეშე.²¹⁷ ამ წესის თანახმად, ექსპერტებისა და სხვა პროფესიონალების დასწრება შესაძლებელია სასამართლო ნებართვით. არასრულწლოვანთა საქმეების საჯარო განხილვა შესაძლებელია მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა იყოს ბავშვის მხრიდან გასაჩივრების საგანი.²¹⁸

ხალხისა და მედიის დასწრების კანონით გათვალისწინებული აღკვეთა.²¹⁹

დაზარალებული ბავშვების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ა) მტკიცებულების წარდგენისას, დაზარალებულსა და მოძალადეს შორის ვიზუალური კონტაქტის თავიდან აცილება, სახელდობრ, საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით;
- ბ) დაზარალებულის მოსმენა სასამართლოზე უშუალოდ დასწრების გარეშე, სახელდობრ, საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით;
- გ) არააუცილებელი და/ან დანაშაულთან კავშირში არმყოფი გამოკითხვების თავიდან აცილება;
- დ) დახურული სხდომების გამართვა.²²⁰

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რათა, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, შესაძლებელი იყოს საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე; სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის ჩვენება მოსმენილ იქნეს სასამართლო დარბაზში მსხვერპლის დაუსწრებლად, სახელდობრ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.²²¹

²¹⁶ დირექტივა 2016/800/EU, მუხლი 14(2)

²¹⁷ UN/CRC/C/GC/#10, პარაგრაფი 66

²¹⁸ UN/CRC/C/GC/#10, პარაგრაფი 65

²¹⁹ ECOSOC/RES/2005/20 მუხლები 12 და 20

²²⁰ დირექტივა 2012/20/EU, მუხლი 23(3)

²²¹ ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 36 (2)

<p>სისხლის სამართლებრივი პროცედურების მსვლელობისას, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ პირადი ცხოვრებისა და მონყვლადი პირების პირადი ინფორმაციის (როგორიცაა, სამედიცინო ისტორია) ხელშეუხებლობა/დაცვა.²²²</p>	<p>სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა პირადი ცხოვრება, მათი ვინაობა და რეპუტაცია, და უნდა მიიღონ ზომები ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, რათა ხელი შეეშალოს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი იდენტიფიცირება.²²³</p>
--	---

²²² რეკომენდაცია 2013/C 378/02, მუხლი 15

²²³ ლანსაროტეს კონვენცია, მუხლი 31(1)(ე)

